# საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლის 25 ივლისიდან

იმისთანა წმინდა საქმეში, რომელიც ბოჭდ-ვუნი სიფფუვაა, ფფუილებით და ჭიანებით ბუნ-თის გაფანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

პარასკევი, 28 სექტემბერი. 2018 წ. №191 (8592) | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 50 თეთრი.

ექსკლუზივი

## ვინ აილო აფხაზეთის მთავრობის სახლი?!

# უსაქართველოდ მკერდმოჭრილი ამორძალი

3

## სოხუმის დაცემის 25 წლისთავთან დაკავშირებით გუშინ საქართველოს ტერიტორიაზე სახელმწიფო დროშები დაუშვეს

**სოხუმის** დაცემის 25 წლისთავთან დაკავშირებით, აფხაზეთის ომში დაღუპულთა სხოვნის პატივსაცემად, 27 სექტემბერს საქართველოს სახელმწიფო დროშები ქვეყნის მთელს ტერიტორიაზე **დაუშვეს.**

საქართველოს მთავრობის განკარგულების შესაბამისად, სახელმწიფო დროშა დაშვებული იყო საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის შენობასა და ქვეყნის მასშტაბით ყველა ადმინისტრაციული ორგანოს შენობაზე. სოხუმის დაცემიდან გუშინ 25 წელი გავიდა. სამხედრო დაპირისპირება აფხაზეთში 1992 წლის 14 აგვისტოს დაიწყო. კონფლიქტი ქართულ სამთავრობო ჯარებსა და აფხაზ სეპარატისტთა ძალებს შორის 13 თვესა და 13 დღეს გრძელდებოდა.

## „დაცემას მოსდევს ამაღლება. ასე რომ, ვინ დაეცა, ეს მარტო ღმერთმა იცის“

**„დაცემას მოსდევს ამაღლება. ასე რომ, ვინ დაეცა, ეს მარტო ღმერთმა იცის“,** — ამის შესახებ სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია მეორემ გუშინ სამების საკათედრო ტაძარში ქადაგებისას სოხუმის დაცემის დღესთან დაკავშირებით განაცხადა.

წირვის დასრულების შემდეგ, აფხაზეთის დაცემის დღესთან დაკავშირებით, ილია მეორემ პარაკლისი გადაიხადა. მართლმადიდებელი ეკლესია 27 სექტემბერს ჯვართამაღლების დღეს აღნიშნავს.

## გვარამია-ვარამია, არ დაიღალე ამდენი ვირეშმაკობით?!

2

## „სოკართველოს“ ვარამი

**დანაღმული ველი და სადავო ტერიტორიები საქართველოსა და აზერბაიჯანს შორის**

6

## მხუთავი ჰაერი საქართველოში...

# რას მოითხოვს ევროკავშირი?

4

**როგორ გააბდლა გორულმა მარიხუანამ გურულები...**

ქალაქ ოზურგეთში, სარიტუალო დარბაზ „თამარიონში“, სამიოდე დღის წინათ მიმდინარე ქორწილის მონაწილეები ნეფის გარეშე დარჩნენ, რის გამოც ქორწილი, ფაქტობრივად, ჩაიშალა.

**„სუფრა ახალი დაწყებული იყო, როცა ნეფეს მეგობრები მიადგნენ და მათი დაჟინებული თხოვნით მაგიდიდან გამოიყვანეს, წრე შეკრეს და ჰაერში აისროლეს, შემდეგ მეორეჯერ აისროლეს, შემდეგ მესამეჯერ.. და უცებ დაავიწყდათ ასროლილი ნეფე, ყველანი მობრუნდნენ და მაგიდებს მიუსხდნენ. ნეფე დაეცა იატაკზე, გახდა ცუდად, ვერ სუნთქავდა, სასწრაფოდ გადაიყვანეს საავადმყოფოში. როგორც ამბობენ, ნეფესაც და მის მეგობრებსაც მარიხუანა ჰქონდათ მოწეული. ვინაიდან დედოფალი ქალაქ გორიდან იყო, გურულებმაც გორის მარიხუანა გასინჯეს და ის ადგილობრივზე მეტად ძლიერი აღმოჩნდა. მომხდარსაც გორის მარიხუანას აბრალებენ“,** — აცხადებს ერთ-ერთი თვითმხილველი.

## სიძე სამჯერ ააგდეს და... ორჯერ დაიჭირეს!

დაშავებული ნეფე ოზურგეთის „მედალფას“ კლინიკაში მოათავსეს, საიდანაც ის მეორე დღეს გამოწერეს.

**„გურიის მოამგე“**

# საქართველო რეგიონულ ჰაბად უნდა გარდაიქმნას

**მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის პრეზიდენტი საქართველოს რეგიონულ ჰაბად გარდაქმნის პოტენციალზე ამახვილებს ყურადღებას და მთავრობის მიერ ადამიანური კაპიტალის კიდევ უფრო განვითარებისკენ გადადგმულ ნაბიჯებს მიესალმება,** — ამის შესახებ ბიორჟ ბრენდემ ნიუ-იორკში საქართველოს პრემიერ-მინისტრ მამუკა ბახტაძესთან გამართულ შეხვედრაზე განაცხადა. ხაზი გაესვა საქართველოს ეკონომიკის გლობალურ ეკონომიკაში ინტეგრაციის მნიშვნელობას და ქვეყნის მიღწევებს დამწყები ბიზნესის ხელშეწყობის მიმართულებით.

აღინიშნა, რომ საქართველო რეგიონში მნიშვნელოვან, ძლიერ ეკონომიკურ ძალად ჩამოყალიბდა, რაც საგარეო ეკონომიკური შოკების მიმართ მის მდგრადობას უზრუნველყოფს.

ყურადღება გამახვილდა საქართველოს წამყვან პოზიციებზე საერთაშორისო რეიტინგებში.განსაკუთრებით გამოიყო Fraser 6nstitute-ის მიერ ახლახან გამოქვეყნებული ინდექსი, რომლის თანახმად, საქართველო ეკონომიკის თავისუფლების მხრივ მე-6 ადგილზეა; ხაზგასმით აღინიშნა საქართველოს მე-9 ადგილიც ბიზნესის წარმოების სიმარტივისა და დაბალი გადასახადების თვალსაზრისით. საუბარი ასევე შეეხო დავოსის მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის, როგორც მნიშვნელოვანი პლატფორმის როლს ბიზნესისა და სახელმწიფო უწყებების მაღალი თანამდებობის პირებს შორის დიალოგისთვის, რაც ხელს უწყობს თანამშრომლობის ახალი მიმართულებების გამოკვეთას.

# პრემიერ-მინისტრი ნიუ-იორკში ჰააგის სასამართლოს პროკურორ ფატუ ბენსუდას შეხვდა

**საქართველოს პრემიერ-მინისტრი მამუკა ბახტაძე ნიუ-იორკში ჰააგის სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს პროკურორ ფატუ ბენსუდას შეხვდა. საუბარი შეეხო 2008 წლის რუსეთ-საქართველოს აგვისტოს ომის გამოძიებასთან დაკავშირებულ საკითხებს.**

შეხვედრაზე კიდევ ერთხელ დადასტურდა საქართველოს მთავრობის მზადყოფნა, მომავალშიც განაგრძოს აქტიური თანამშრომლობა ჰააგის სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოსთან და პროკურორის ოფისთან, რათა მაქსიმალურად შეუწყოს ხელი გამოძიების პროცესს.

ქართული მხარე იმედოვნებს, რომ სრულფასოვნად იქნება გამოძიებული ქართველთა ეთნიკური წმენდა, სამხედრო ტყვეების წამება და მკვლელობა, ქართველი მოსახლეობის წინააღმდეგ მიმართული ომის დანაშაულები და გორის დაბომბვისას რუსეთის მიერ „ისკანდერის“ გამოყენება. შეხვედრას საქართველოს იუსტიციის მინისტრი თეა წულუკიანი დაესწრო, რომელმაც აღნიშნა, რომ ჰააგის სასამართლო ოქტომბერში თბილისში მასშტაბურ საერთაშორისო კონფერენციას გამართავს; ასევე, იგეგმება მნიშვნელოვან შეთანხმებაზე ხელმოწერა პატიმრების გაცვლის სფეროში.

# გინოვევი ქართული ხელოვნების ახალი სამყარო!

26 სექტემბერს რუსთაველის გამზირზე ქართული სახვითი ხელოვნების მუზეუმის გახსნის ცერემონია გაიმართა. თბილისს კულტურის ახალი კერა შეემატა, რომელიც ქვეყნის ღირსშესანიშნაობათა შორის მნიშვნელოვან ადგილს დაიმკვიდრებს.

მუზეუმში გამოიფინა მისი დამფუძნებლების, გია ჯოხთაბერიძის და მანანა შევარდნაძის ოჯახის სურათების კერძო კოლექცია, რომელიც მოიცავს 80-მდე მხატვრის 3500 ხელოვნების ნიმუშს 1945 წლიდან დღემდე.

**„თუ მხატვარს საგამოფენო სივრცე არ აქვს, ის ხეს მოწყვეტილი ფოთოლივით დაიკარგება“** — ამბობს გია ჯოხთაბერიძე.

მუზეუმში მსოფლიო სტანდარტების შესაბამისი პირობებია როგორც მდგრადობის თვალსაზრისით, ისე ტემპერატურული რეჟიმის და განათების მხრივ. **მუზეუმის საგამოფენო სივრცე 7000 კვ.მ. მოიცავს, საცავი — 6000 კვ.მ. სურათს იტევს. მუზეუმს აქვს 120-კაციანი საკონფერენციო დარბაზი და 300 კვ.მ. დარბაზი დროებითი გამოფენებისთვის.**

მუზეუმი პოპულარიზაციას გაუწევს ქართულ თანამედროვე სახვით ხელოვნებას, მეტ მოტივაციას შეუქმნის მხატვრებს, კვლევების ჩატარების შესაძლებლობას მისცემს ხელოვნებათმცოდნეებს, ახალგაზრდობისთვის კი განათლების კერა გახდება. მუზეუმში არსებულ კოლექციას ახალი ნამუშევრები შეემატება და მუდმივი ექსპოზიციის გარდა დროებითი გამოფენებიც მოეწყობა. მუზეუმი მნიშვნელოვანია როგორც ქართველი საზოგადოებისთვის, ისე უცხოელი დამთვალიერებლისთვის ქართული კულტურის გასაცნობად და დასაფასებლად.

**„ამ მუზეუმის ერთ-ერთი უმთავრესი ფუნქციაა, მთელ მსოფლიოს აჩვენოს, რა ხდება ამჟამად საქართველოში, რითი ცხოვრობს ეს ერი და რა ტრადიციები აქვს“** — გია გუგუშვილი, თბილისის სამხატვრო აკადემიის რექტორი.

მუზეუმის სტუმრებისთვის, და არა მხოლოდ მათთვის, შექმნილია არტჰაუსის კომპლექსი, რომელიც აერთიანებს რესტორნებს, კაფეებს, საცურაო აუზს, საუნას, სავარჯიშო დარბაზს და ბუტიკებს. მიწის ქვეშ განთავსებულია სამსართულიანი ავტოფარეხი 155 მანქანისთვის.

ქართული სახვითი ხელოვნების მუზეუმი დამთვალიერებელთათვის 2018 წლის 2 ოქტომბრიდან გაიხსნება.

26 სექტემბერი. ერთ-ერთ საგამოფენო დარბაზში.

## ◎ გუშინდელი ფოსტიდან

# გვარამია-ვარამია, არ დაიღალე ამდენი ვირეშმაკობით?!

**ეს პატარა ბარათი პირდაპირ შენთვის რომ გამომეგზავნა, იქნებ წაგეკითხა კიდეც, მაგრამ უფრო მგონია, რომ დაჭმუჭნიდი და ნაგვის ურნაში გადაუძახებდი.**

ამიტომ გადავწყვიტე, ხმა მოგაწვდინო გაზეთის საშუალებით, რადგან უნდა იცოდე, რა აზრისაა ჩვენი საზოგადოება თქვენს მიერვე რატომღაც მთავარ არხად მონათლულ „ცრუსთავ-2“-ზე, კერძოდ, შენზე, ვინც ლამის ბოლო ათი წელიწადი ათასი მამაძაღლობით და ცრუკაცობით დაგვამახსოვრე სიმაღლეში წასამატებლად მამლაყინწურად ქოჩორაღერილი თავი.

გასაგებია, რომ ყაჩაღი და არამზადა სააკაშვილის მიერ სხვისთვის წართმეულ ტელევიზიაში ისევ მისივე დანიშნული გენერალური დირექტორი ხარ და, რა თქმა უნდა, დამნიშვნელს უნდა ემსახურო, მაგრამ ნუთუ ვერ ხვდები, რომ ასე მონურად და ამდენი სიცრუეტყუილით მსახურება ისედაც ჩია და კიკნა კიდევ უფრო ჩიავდები და კნინდები როგორც ადამიანი.

მაგრამ, როგორც ჩანს, შენთვის ადამიანობასა და კაცობას არავითარი მნიშვნელობა არა აქვს, ოღონდაც ისევ ხელისუფლებაში აღმოჩნდეთ ძველი უამრავი ბოროტმოქმედებისთვის ჯერაც განუკითხავი, განუსჯელი ავაზაკი ადამიანები, რაც უწინარესად, „ოცნების“, ამჟამინდელი ხელისუფლების უპატიებელი შეცდომაა!

ჩემი აზრის დასადასტურებლად უამრავი მაგალითიდან მხოლოდ ორიოდეს მოვიყვან. ჯერ ერთი, პრეზიდენტობის კანდიდატებიდან 24 საათის განმავლობაში მხოლოდ ვაშაძე და ბაქრაძე ჩანან, ეს პირწავარდნილი ნაციონალები, რომლებიც ყველანაირ საშუალებას იყენებენ თავიანთი მავნებლური არაადამიანური მიზნების მისაღწევად.

**მართალია, მიტაცებული „ცრუსთავი-2“-ის მუშაობას სიცრუეზე და ცილისწამებაზე აგებთ, მაგრამ პროპაგანდის ხერხები ნამდვილად არ გივარგათ, თვალში საჩხერად ქადაგებთ. მიკერძოებულობას მიუკერძოებლობით ვერ ფუთავთ და ყველასთვის აშკარაა, რომ არსებულ ხელისუფლებას ძირს უთხრით. ეს მაშინ, როცა მაყურებელი თუ მსმენელი ეგრევე გატყობთ, რომ სამშობლოს გულშემატკივრები არა ხართ, ის კი არა, ვერ მალავთ, რომ ქვეყნის ბედი სულ ფეხებზე გკიდიათ.**

ამ დღეებში პოლიტიკური პამპულა გაბუნიას „არჩევანში“ კიდევ ერთხელ გასაჯაროვდა ფოთიდან თელავამდე მოსახლეობის გამოკითხვის შედეგები, თუ „ვინ დაიწყო ომი“. აღმოჩნდა, რომ გამოკითხულთა მხოლოდ 1,7 პროცენტს მიაჩნია, რომ ომი საქართველომ დაიწყო. სამწუხაროდ, ნებსით თუ უნებლიეთ (რასაკვირველია, წინასწარი განზრახვით) „გამოტოვეთ“ გორი, გორის მოსახლეობა (საომარ მოქმედებათა ეპიცენტი), სადაც მე ხშირად ვარ და ვიცი იქაურთა განწყობა. გორელთა უმრავლესობის ფხიზელ გონებას არასოდეს შეშლია და არც ახლა ეშლება, რომ ომი უგუნურმა სპასალარმა სააკაშვილმა დაიწყო, რომ არა იმისი და იმისავე მავნებელი გუნდის საომარი მოქმედების დაწყება ჩვენივე ცხინვალელ მოქალაქეებზე 7 აგვისტოს დილის ოთხის ნახევარზე, ოკუპანტ რუსებს ომის გაგრძელების მიზეზი არ მიეცემოდათ და მსოფლიოს თვალში ჩვენ ბევრად უფრო მართალნი ვიქნებოდით. რუსს გაუჭირდებოდა თავისი აგრესიის ახსნა და აშკარა გახდებოდა, რომ ის დაგვესხა თავს. ამას ამბობს სწორედ თქვენგან დაწუნებული „გაფრანგულებული“ ქართულით მოლაპარაკე პრინციპულიქალბატონი სალომე ზურაბიშვილი, რომელსაც გონიერ ქართველთა თვალში ათას სისულელეს აბრალებთ თქვენივე თავის სამხილებლად.

**რატომ აფარებთ ხელს მაგ არამზადა საკაშვილს და რატომ აიგივებთ მაგ ვაიპრეზიდენტს საქართველოსთან, რომელსაც მუდამ ჰქონდა კეთილი დამოკიდებულება ოსებთან?!**

**ერთი სიტყვით, არც შენ და არც შენი პროპაგანდისტული კანტორა ღმერთს არ უძნიხართ, თქვენი ეშმაკობა და მამაძაღლობა ხელისგულზე დევს... უფრთხილდით მომავალს, უფრთხილდით ისტორიის შურისძიებას!!!**

**არჩილ კაჭარავა,**
**მეცნიერების დოქტორი;**
**ტელ: 599139657**



# უსაქართველოდ მყარდმოჭრილი ამორძალი

## ვინ აილო აფხაზეთის მთავრობის სახლი?!

**ცნობილმა ანალიტიკოსმა ავრაამ შმულევიჩმა 1993 წლის 27 სექტემბერს აფხაზეთის მინისტრთა საბჭოს შენობის შტურმთან დაკავშირებულ მტკიცებულებებს, ასევე აფხაზეთის მთავრობის იმჟამინდელი ხელმძღვანელის ჟიული შარტავასა და სოხუმის მერის გურამ გაბესკირიას დღემდე გამოუქვეყნებელ საბუთებს მოუყარა თავი.**

**„ქვემოთ მოცემულია სადღეისოდ არსებული ყველაზე სრული ჩამონათვალი მტკიცებულებებისა, რომელიც 1993 წლის 27 სექტემბერს აფხაზეთის მინისტრთა საბჭოს შტურმს, ასევე აფხაზეთის ქართული მთავრობის ხელმძღვანელ ჟიული შარტავას და სოხუმის იმჟამინდელი მერის გურამ გაბესკირიას საბუთებს შეეხება.**

**გაბესკირია და შარტავა ტყვედ ყაბარდოელმა მოხალისეებმა აიყვანეს, რომელთაც შტურმი განახორციელეს. მათვე ჩააბარეს ქართველმა მაღალჩინოსნებმა საბუთები. შემდეგ აფხაზეთის ქართული ხელისუფლების წარმომადგენლები აფხაზურ ძალებს გადასცეს, რომლებმაც ისინი დახვრიტეს.**

### მტკიცებულებები:

**1. მინისტრთა საბჭოს შენობის შტურმი. ძუშბატიევი ა.ვ. „ყაბარდოელი მოხალისეები 1992-1993 წლების ომში“. ნალჩიკი, მ. და ვ. კოტლიაროვების გამომცემლობა, 2008. გვ. 76-79.**

1993 წლის 27 სექტემბერს სოხუმის ცენტრში დაიწყო აფხაზეთის რესპუბლიკის მთავრობის სახლის (მინისტრთა საბჭოს შენობის) გათავისუფლების ოპერაცია. ეს ოპერაცია უფრო დეტალურად უნდა განვიხილოთ, რადგან ბოლო დროს ივიწყებენ ან მალავენ, კონკრეტულად რომელმა ქვედანაყოფმა განახორციელა შტურმი. აფხაზი ავტორების წიგნებსა და სტატიებში, რომელიც 1992-93 წლების ომს ეძღვნება, ყოველგვარი დეტალების გარეშე მხოლოდ ისაა მოყვანილი, რომ აფხაზეთის რესპუბლიკის შეიარაღებული ძალების დანაყოფები ათავისუფლებდნენ მთავრობის სახლის შენობას. ეს ოპერაცია „ცხელ კვალზე“ მოკლედ, მაგრამ მაინც შუქდებოდა პერიოდულ გამოცემებში.

27 სექტემბერს ყაბარდოელთა სადაზვერვო-საშტურმო ჯგუფი მ. შოროვის ხელმძღვანელობით, აფხაზური ჯარის სხვა დანაყოფების მსგავსად, ცდილობდა, მინისტრთა საბჭოს შენობას მიახლოებოდა. დილის 9 საათზე, როდესაც ჯგუფი ქუჩაში, პროკურატურის შენობასთან იმყოფებოდა (ეს ქუჩა გვერდიდან გადის მინისტრთა კაბინეტის შენობისკენ), რაციით გადაიცა ცნობა: „77-ევ, გადაადგილდით მინისტრთა საბჭოსკენ, იგი უკვე აღებულია“. მოხალისეები იხსენებენ, რომ დამწუხრდნენ, როცა შეიტყვეს, რომ მთავრობის სახლი მათ გარეშე აიღეს. როდესაც მებრძოლები შენობის მარჯვენა ფრთის მხრიდან მოედნის კიდეზე გავიდნენ, ცენტრალური კორპუსის (ყველაზე მაღალი კორპუსია) ზედა სართულებიდან და მარჯვენა ფლიგელის მეორე სართულის ფანჯრებიდან ჯგუფს ტყვიამფრქვევებიდან და ავტომატური იარაღიდან ცეცხლი გაუხსნეს. მოხალისეები დაიქსაქსნენ და თავშესაფრებში გადაიმალნენ. ჩათვალეს რა, რომ თავისიანები ესროდნენ, რადგან ქართული ქვედანაყოფი ეგონათ, მათ აფხაზური დროშის ქნევა დაიწყეს შეძახილებით „აფსუა!“ („აფხაზი“), თუმცა ცეცხლის შეწყვეტის ნაცვლად, მათზე თავდასხმაში ჩაერთო БРДМ-2, რომელიც ცენტრალურ შესასვლელთან იდგა. მალე მოხალისეებმა შენობის თავზე და მის წინ აღმართული ქართული დროშები დაინახეს. ცხადი გახდა, რომ შენობაში მოწინააღმდეგის ქვედანაყოფები იყვნენ. როგორც მოხალისეები იხსენებენ, მათ უმალ დაიწყეს მზადება შტურმისთვის და გაუხარდათ კიდეც, რომ ქართული ჯარის საუკეთესო ქვედანაყოფებთან ბრძოლა მოუწევდათ აფხაზეთის მთავრობის შენობის გასათავისუფლებლად. ვიდეოჩანაწერში, რომელიც ოპერაციის დაწყებამდე რამდენიმე წუთით ადრეა გადაღებული, მინისტრთა საბჭოს შენობის მიმდებარედ არ ჩანს არანაირი სხვა ქვედანაყოფი, ყაბარდოელთა სადაზვერვო ჯგუფის გარდა.

შტურმი 10:30 სთ-ზე შენობის მარჯვენა მხრიდან დაიწყო. შენობის ცენტრალური კორპუსის ზედა სართულებიდან ყაბარდოელებს უკრაინული ორგანიზაცია УНА-УНСО-ს სპეცრაზმელები ესროდნენ. მათი სნაიპერული ცეცხლის ჩახშობას ყაბარდოელთა ჯგუფის მეტყვიამფრქვევე და სნაიპერები ცდილობდნენ. ქვედა სართულებიდან და მარჯვენა ფლიგელის მეორე სართულის ფანჯრებიდან ედუარდ შევარდნაძის დაცვის წევრი სპეცრაზმელები და აფხაზეთის საოკუპაციო მთავრობის წევრები ისროდნენ ჟიული შარტავას თაოსნობით (დაახლოებით 150 კაცი). შენობის შესასვლელთან კი, მოედანზე მანევრირებდა БРДМ-2, რომელიც შტურმის მონაწილეებს КПВТ და ПКТ ტიპის ტყვიამფრქვევებიდან ესროდა. მალე ყაბარდოელებს მარშალ ბაგრამიანის სახელობის ბატალიონის მებრძოლები ამოუდგნენ გვერდში. მათ მთელი მოედნის გასწვრივ (დაახლოებით 800 მ) ტყვიამფრქვევებიდან და ყუმბარმტყორცნებიდან გახსნეს ცეცხლი. ყაბარდოელებს ასევე საზენიტო დანადგარმა ЗУ-23-2 აღმოუჩინა დახმარება. მოხალისე არტურ კარმოკოვი ღია ტერიტორიაზე გაიჭრა და РПГ-7-ს გამოყენებით ააფეთქა БРДМ-2, თუმცა მალევე სნაიპერის ტყვიით დაიღუპა.

მოხალისეები დაახლოებით 20 წუთის განმავლობაში იბრძოდნენ, რათა მისი ცხედარი გამოეტანათ. მოგვიანებით გაირკვა, რომ ქართველი სნაიპერები მოწამლულ ტყვიებს იყენებდნენ? – „სრ“ რედ.).

მალე შტურმი განახლდა. ყაბარდოელებმა ცეცხლმტყორცნი „Шмель“-იც გამოიყენეს, რომელიც მანამდე შენობაში ხანძრის გაჩენის საშიშროებიდან გამომდინარე, არ გამოყენებულა. მოწინააღმდეგემ მარცხენა ფლიგელში გადაინაცვლა და იქიდან გააგრძელა ცეცხლი. ამ დროს შემოსწრებულმა აფხაზურმა ტანკმა შენობის მიმართულებით რამდენჯერმე გაისროლა და გაქრა. შტურმის დაწყებიდან 4,5 საათში მარცხენა ფლიგელის მეორე სართულის ერთ-ერთ ფანჯარაში თეთრი პირსახოცი გამოფინეს. კიდევ რამდენიმე წუთში შენობიდან უიარაღო ადამიანი გამოვიდა თეთრი პირსახოცით აწეულ ხელში. მასთან, ასევე უიარაღოდ, მ. შოროვი და ა. შიხალიევი მივიდნენ. მომლაპარაკებელმა მათ ჟიული შარტავას წინადადება გადასცა, მათთვის დერეფანი გაეკეთებინათ, რომლითაც ქალაქიდან გავიდოდნენ, თუმცა მას უპასუხეს, რომ მისაღებია მხოლოდ ერთი პირობა: „ცოცხლად გადარჩენილები ტყვედ ბარდებიან, დაჭრილებს გაეწევათ სამედიცინო დახმარება. წინააღმდეგ შემთხვევაში 15 წუთში შტურმი განახლდება და მათ გაანადგურებენ. ამის შემდეგ 15-20 წუთში გამოსულმა იგივე მომლაპარაკებელმა ყაბარდოელებს ამცნო, რომ შარტავა თანახმა იყო, ჩაჰბარებოდა მხოლოდ ყაბარდოელებს. შოროვმა და შიხალიევმა საპასუხოდ განაცხადეს, რომ მინისტრთა საბჭოს შტურმში მხოლოდ ყაბარდოელები მონაწილეობენ. როდესაც მოხალისეები მომლაპარაკებელთან ერთად შენობის მეორე სართულზე ავიდნენ, იქ ერთ ოთახში დარჩენილმა ქართველმა სპეცრაზმელებმა (დაახლოებით 30 კაცი) და საოკუპაციო მთავრობის წევრებმა იარაღისა და ამუნიციის იატაკზე დაყრა დაიწყეს.

გაარკვია რა, რომელი იყო ჟიული შარტავა, შოროვმა მას გამოუცხადა: „თქვენ დაკავებული ხართო“. შარტავამ ითხოვა, განემარტათ, ვინ იყვანდა ტყვედ. შოროვმა უპასუხა: „ყაბარდოელთა ჯგუფის მეთაური, აფხაზური არმიის მაიორი შოროვი“. შარტავამ იარაღი ჩააბარა (გენერლის ვერცხლისფერი პისტოლეტი და მოკლე ავტომატი), ასევე გადასცა საქართველოს პარლამენტის დეპუტატის მოწმობა. თავისი საბუთი ჩააბარა სოხუმის მერმა გურამ გაბესკირიამაც. მათ გარდა, ჩაბარდნენ საოკუპაციო მთავრობის პოლიციისა და კანცელარიის უფროსები. შარტავამ ჩაწერა თავის ბლოკნოტში, ვის მიერ და რა ვითარებაში იყო დაკავებული. ჩაბარდა 26 ქართველი სპეცრაზმელიც. ტყვეებმა განაცხადეს, რომ საქართველოს შეიარაღებული ძალების ხელმძღვანელობამ ისინი შეცდომაში შეიყვანა და მუდმივად ატყობინებდა მათკენ მიმავალი სხვადასხვა დახმარების შესახებ, რომელიც რეალურად, არც იყო დაგეგმილი. როდესაც შეიტყვეს, რომ ეს ტყუილი იყო, უკვე გვიანი იყო. 14:30 სთ-ზე ყაბარდოელი მოხალისეები აბაევი და ხაგაჟეევი შენობის სახურავზე აძვრნენ და აფხაზური დროშა აღმართეს წარწერით „ყაბარდოელთა ჯგუფი. 27.09.1993“. ერთ-ერთი ფანჯრიდან კი ჩერქეზული (ადიღური) ეროვნული დროშაც გადმოფინეს.




შენობის ზედა სართულების შემოწმების შემდეგ მოხალისეებმა დაადასტურეს, რომ იქ მოკლული უკრაინელების გვერდი ცხედარი იყო. დაიწყეს ტყვეთა გაყვანა მარცხენა ფლიგელის სადარბაზოდან. მოედანი სავსე იყო აფხაზური ჯარის სხვადასხვა შენაერთის წარმომადგენლებით. ისმოდა შეძახილები „АЯАЙРА!“ („გამარჯვება“ – აფხაზურად), ისროდნენ ჰაერში. აფხაზეთის რესპუბლიკის დედაქალაქის – სოხუმის გათავისუფლების ოპერაცია დასრულებული იყო.

### 2. ბლოგერ ტამირის ნაამბობი ყაბარდოელი მოხალისეების მოგონებებზე დაყრდნობით, რომელიც 2012 წლის 15 იანვარს FORUM CIRCASSIA-ზე გამოქვეყნდა.

„აფხაზეთში გამოცემული წიგნები, რომლებიც ქართულ-აფხაზურ ომზე მოგვითხრობს, მთელი თავებით აღწერს ნებისმიერ შეირაღებულ ინციდენტს რომელიმე ქუჩების კვეთაზე და რატომღაც „მორცხვი“ ხდება, როდესაც მთავრობის სახლის გათავისუფლებაზეა საუბარი.

„ჩვენებმა გაათავისუფლეს „Совмин“-ი!“ – აი, ამ თემაზე გამოქვეყნებული ყველა პუბლიკაციის მოკლე ლაიტმოტივი. თითქოს იქ არც ყოფილა გააფთრებული ბრძოლა... არ არსებობს არანაირი აღწერა ამ მოვლენების დეტალებისა შტურმის მონაწილეთა მხრიდან...

ყაბარდოელების მონაყოლიდან საყურადღებოა ერთი ფაქტი: დაჭრილი კარმოკოვის გამოსაყვანად დაახლოებით ნახევრსაათიანი ბრძოლის შემდეგ იყო პაუზა. ამ დროს ახმედ ფშეუნოვმა და მუაედ შოროვმა მოახერხეს მოედანს იქით მყოფ აფხაზურ შენაერთებთან მოხვედრა და მოსთხოვეს მათ, შტურმში ჩართულიყვნენ, თუმცა მხარდაჭერა ვერ მოიპოვეს. მაშინ ყაბარდოელებმა ცოტაოდენი საბრძოლო მასალა წაიყოლეს და თავისიანებთან დაბრუნდნენ. შტურმი ახალი ძალით განახლდა. მას შემდეგ, რაც საავადმყოფოში გადაყვანილი კარმოკოვის სიკვდილის შესახებ ცნობა მოვიდა, ყაბარდოელებს შენობა აღარ დაუზოგავთ – დაიწყეს „შმელის“ გამოყენებაც...“.

„შარტავამ და გაბესკირიამ საბუთები სწორედ ყაბარდოელებს გადასცეს. ახლა ეს დოკუმენტები, როგორც ისტორიული, ყაბარდო-ბალყარეთის რესპუბლიკის აფხაზი მოხალისეების კავშირში ინახება...“.

„...მოლაპარაკებების შემდეგ შენობის მეორე სართულზე ასულ ყაბარდოელებს ქართველი მაღალჩინოსნები და სპეცრაზმელები, სულ 25 ადამიანი ერთ ოთახში შეყრილი დახვდათ. როდესაც თითქმის ყველა მათგანი განიარაღებული იყო, მოხალისეებმა ოთახის კუთხეში სპეცრაზმელი დაინახეს ერთ ხელში ჯვრით, მეორეში კი – „ლიმონკით“. მან მშვიდი ხმით ითხოვა: „მომკალით, ჩემი რწმენა თვითმკვლელობის უფლებას არ მაძლევსო“. გესროლა მისთვის – ნიშნავდა, ყველას სიცოცხლე რისკის ქვეშ დაგეყენებინა.

იხ. 4 გვ.

# მხუთავი ჰაერი:

## რას მოითხოვს ევროკავშირი?

**საქართველოში** **უფრო სუფთა ჰაერი გვექნება და უფრო თავისუფლად ვისუნთქავთ, თუკი ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმებით გათვალისწინებულ ვალდებულებებს შევასრულებთ,** — ირწმუნებიან გარემოსდამცველები. მაგრამ ამ ეტაპზე საქართველოში არსებული ვითარება ჯერ ისევ საგანგაშოა და ეს ბოლო ხანებში საზოგადოების სულ უფრო დიდ აღშფოთებას იწვევს. ყველამ იცის, რომ საფრთხეშია ჩვენი ჯანმრთელობა და სიცოცხლე. ფონდ „ღია საზოგადოება — საქართველოს“ ეგიდით, ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმების შესრულების მონიტორინგის პროცესში „მწვანე ალტერნატივაც“ ჩაერთო. ორგანიზაციის შეფასების თანახმად, „საქართველოში ჰაერის ხარისხის მართვის კანონმდებლობის გაუმჯობესებისა და მისი ევროკავშირის კანონმდებლობასთან დაახლოების კუთხით გადადგმული ნაბიჯები არაეფექტიანია და ნელი ტემპით მიმდინარეობს“. ჰაერის დაბინძურების ერთ-ერთ მთავარ წყაროდ კვლავ სატრანსპორტო საშუალებათა გამონაბოლქვი რჩება.

„მწვანე ალტერნატივის“ მიერ განხორციელებული მონიტორინგის შედეგების თანახმად, საქართველოს ამ დრომდე არც ასოცირების 2014-2016 წლების დღის წესრიგში ასახული მოთხოვნები აქვს შესრულებული, რაც საწვავის ხარისხის გაუმჯობესებასა და საჯარო ტრანსპორტის სექტორის განვითარებას ისახავს მიზნად. ვითარება საგანგაშოა და კვლავაც მაღალია რისკი ბრონქების, ფილტვებისა თუ სისხლმბად ორგანოთა დაავადებების — მათ შორის სასიკვდილო დაავადებების — განვითარების კუთხით.




ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის 2017 წლის ანგარიშით, საქართველო ევროპაში მესამე ადგილზეა „შენობაში და შენობის გარეთ არსებული დაბინძურებული ჰაერით გამოწვეული სიკვდილიანობით“ (ყოველ 100 000 ადამიანზე).

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის 2018 წლის ანგარიშის თანახმად, ჰაერის დამაბინძურებლებით გამოწვეული დაავადებების მკურნალობაზე 2016 წელს სახელმწიფო ბიუჯეტიდან დახარჯულია 120,050,566 ლარი.

**„ფაქტია, რომ ავტოტრანსპორტის სავალდებულო პერიოდული ტექნიკური ინსპექტირება არაეფექტიანია აღსრულების თვალსაზრისით. ვხედავთ, რომ საზოგადოებრივი ტრანსპორტი კვლავაც საშინლად აბინძურებს გარემოს. ხოლო მსუბუქი ავტომობილები, რომელთა შემოწმების პროცესი 2019 წლის 1 იანვრიდან უნდა დაიწყოს, 2020 წლის 1 იანვრამდე გათავისუფლებული არიან გარემოზე მავნე ზემოქმედების ნაწილში“,** — ეუბნება რადიო თავისუფლებას „მწვანე ალტერნატივის“ ხელმძღვანელი, მონიტორინგის ანგარიშის ავტორი **მანანა ძოწლაძე**. ორგანიზაცია რეკომენდაციას აძლევს საქართველოს მთავრობას, რომ აუცილებლად და დროულად იქნეს უზრუნველყოფილი ავტოსატრანსპორტო საშუალებების სავალდებულო ტექნიკური ინსპექტირება გარემოზე ზემოქმედების ფაქტორის გათვალისწინებით.

საქართველოს გარემოს მდგრადობის შესახებ ეროვნული ანგარიშის თანახმად, ჰაერის დაბინძურების მთლიან სურათში სულ ცოტა 75 % სატრანსპორტო სექტორზე მოდის. სავალალო სურათი კი ადვილად წარმოსადგენია, თუკი ვიტყვით, რომ სატრანსპორტო საშუალებების მხოლოდ 9 %-ია 9 წლამდე ხანდაზმულობის, ხოლო თითქმის ნახევარი 20 წელზე უფრო ხანდაზმულია. მართალია, ძველი ავტომობილები მაღალი ხარისხის ბენზინის მოხმარების პირობებშიც კი საფრთხეს წარმოადგენენ გარემოსთვის, მაგრამ „მწვანე ალტერნატივისთვის“ მიუღებელია ის ფაქტი, რომ 2016-2017 წლებში გარემოს დაცვის სამინისტრომ ბენზინისა და დიზელის ნიმუშები მხოლოდ 30 შემთხვევაში შეამოწმა, ქვეყანაში არსებული დაახლოებით 1000 ბენზინგასამართი სადგურიდან.




დიდი პრობლემაა ასევე ე.წ. ჰაერის მტვერი, ანუ შეწონილი ნაწილაკების შემცველობა ჰაერში. ცნობილია, რომ შეწონილი ნაწილაკების 65 %-ის გამოფრქვევა სამრეწველო სექტორის სათვალავზე მოდის, მაგრამ, „მწვანე ალტერნატივის“ ანგარიშის თანახმად, თბილისა და საქართველოს დიდ ქალაქებში (რუსთავი, ქუთაისი, ბათუმი) მყარი შეწონილი ნაწილაკების ჰაერში შემცველობა, სულ ცოტა, 1,5-1,7-ჯერ მაღალია, ევროპულ ზღვრულ ნორმებთან შედარებით.

„მწვანე ალტერნატივის“ ანგარიშის თანახმად, ევროკავშირის სტანდარტებს არ შეესაბამება საქართველოში მოქმედი ჰაერის ხარისხის მართვის სისტემა.

ახალი ავტომატური სადგურების ამოქმედების მიუხედავად, მონიტორინგზე პასუხისმგებელი ორგანო — გარემოს ეროვნული სააგენტო —ვერ უზრუნველყოფს საქართველოში „ჰაერის დაბინძურების სრულმასშტაბიანი და ადვილად გასაგები სურათის“ მოწოდებას.

გარემოს ეროვნულ სააგენტოს არ დაუნერგავს მავნე ნივთიერებებისთვის პროგნოზირებისა და მონიტორინგის მოდელირების სისტემები, მიუხედავად იმისა, რომ, ასოცირების შეთანხმების მიხედვით, ეს პროცესი 2017 წლის ბოლომდე უნდა დასრულებულიყო.

რა ხდება მაშინ, თუ საქართველო ვერ ასრულებს ასოცირების შეთანხმებით ნაკისრ ვალდებულებებს?

**„ევროკავშირს შეუძლია მიმართოს გზას, რასაც ჰქვია „naming and shaming“, ანუ ამხილოს და გააკრიტიკოს საქართველო, როგორც ეს არაერთხელ მომხდარა, მაგალითად, შრომის უფლებებთან მიმართებით. ასევე, ვალდებულებათა შეუსრულებლობამ შესაძლოა, შეაფერხოს პროცესები მიკროფინანსური დახმარების გამოყოფის კუთხით“,** — უთხრა რადიო თავისუფლებას ფონდ „ღია საზოგადოება — საქართველოს“ ევროინტეგრაციის პროგრამის ხელმძღვანელმა **ვანო ჩხიკვაძემ**. მართალია, ასოცირების შეთანხმების შესრულება პირდაპირ არ არის მიბმული საქართველოს ევროკავშირში გაწევრიანების პერსპექტივასთან, მაგრამ ყველასათვის ცხადია, რომ ვალდებულებათა შეუსრულებლობას შეუძლია დაამუხრუჭოს ეს პროცესიც.

**„რადიო თავისუფლება“**

# საქართველოში საქონლის ხორცის დეფიციტი შეიქმნა

**მიუხედავად** **იმისა, რომ საქართველოდან მსხვილფეხა საქონლის ექსპორტი მცირდება, ქვეყანაში საქონლის ხორცის დეფიციტია. იზრდება მისი გასაყიდი ფასიც.**

სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით, 2018 წლის იანვარ-აგვისტოში ექსპორტზე ჯამში 17,913.0 ათასი დოლარის ღირებულების მსხვილფეხა საქონელი გავიდა. მხოლოდ 2018 წლის აგვისტოს თვეში 3 226,3 ათასი დოლარის მსხვილფეხა საქონლის ექსპორტი განხორციელდა, 2017 წლის ანალოგიურ პერიოდში კი ეს ციფრი 4 791,1 ათას დოლარს შეადგენდა.

ექსპორტის შემცირების პარალელურად, ბოლო თვეების განმავლობაში გაიზარდა საქონლის ხორცის ფასიც. თუ 2-3 თვის წინათ ერთი კილოგრამი საქონლის ხორცი თბილისის სუპერმარკეტებში საშუალოდ 14 ლარი იყო, დღეს უკვე 17 ლარი ღირს.

„საქსტატის“ ინფორმაციით, გაზრდილია საქონლის ხორცის ფასიც. თუ 1 კგ-ს ფასი 2013 წელს 11.59 ლარს შეადგენდა, 2018 წლის აგვისტოს მდგომარეობით, 1 კგ საქონლის ხორცის ფასი 14.35 ლარი იყო.

ბაზარზე საქონლის ხორცზე მოთხოვნის ზრდას და ამ კუთხით შექმნილ დეფიციტს ასახელებენ სასაკლაოებში ადგილობრივ ბაზარზე საქონლის ხორცის გაძვირების მიზეზად.

**სასაკლაო შპს „მატადორის“ ხელმძღვანელი იოსებ კოხტაშვილი აღნიშნავს, რომ ხორცის ფასმა ბოლო ერთი წლის განმავლობაში საშუალოდ, 3-4 ლარით მოიმატა. მისი განცხადებით, თუ გასულ წელს 1კგ საქონლის ხორცის ასაღები ფასი 9 ლარს შეადგენდა, ახლა 11 ლარით განისაზღვრება. ღორის ხორცის შემთხვევაში, თუ მისი ასაღები ფასი იყო 8 ლარი, ახლა მისი ღირებულება 9 ლარით განისაზღვრება.**

როგორც კოხტაშვილი განმარტავს, დღეს ბაზარზე საქონლის ხორცის დეფიციტია, რაც ფასის ზრდის საფუძველი ხდება. კითხვაზე, რა ქმნის ბაზარზე დეფიციტს, ამის პასუხი კოხტაშვილს არ აქვს. მისი ინფორმაციით, თუ გასული წლის ანალოგიურ პერიოდში დღეში 100-200 სული საქონლის დაკვლა ხდებოდა, დღეს ეს რიცხვი 30-მდეა შემცირებული.

საქონლის ხორცის დეფიციტზე საუბრობს თბილისში არსებული სასაკლაო **„ლომას“** წარმომადგენელი **გელა ძარუმიძეც**. მისი განმარტებით, ექსპორტზე ცოცხალი საქონელი დიდი რაოდენობით გადის და ქვეყანაში დასაკლავი საქონლის რაოდენობა შემცირებულია. მისივე განმარტებით, სავარაუდოდ, ეს შეიძლება იყოს ხორცზე ფასის ზრდის საფუძველი.

მისი განცხადებით, დღის განმავლობაში სასაკლაო „ლომას“ 2-3 სული საქონლის დაკვლა თუ უწევს, რაც მისი განმარტებით, დაბალი მაჩვენებელია.

**„ფერმერთა ასოციაციის“ თავმჯდომარე ნინო ზამბახიძე** განმარტავს, რომ ქვეყანაში საქონლის ხორცი დეფიციტურია, რაც ფასის ზრდაში გამოიხატება. მისი ინფორმაციით, ყველაზე მეტი საქონელი საქართველოდან აზერბაიჯანში გადის, თუმცა, მისივე ინფორმაციით, ეს ყველაფერი საბაჟოს გავლით ხდება.

ზამბახიძის განცხადებით, ქვეყანაში ფერმების სიმცირეა და ამას რამდენიმე მიზეზი აქვს. პირველია დანაწევრებული მიწები, საძოვრების ნაკლებობა და მეორე — ჯიშიანი საქონლის არშემოყვანა. ზამბახიძის განცხადებით, მთავრობა მეცხოველეობის მიმართულებით პროექტების განხორციელებას გეგმავს, ეს იქნება მეხორცული და მერძეული მიმართულებით.

**სოფო ქსოვრელი**

# ᲛᲐᲠᲘᲮᲣᲐᲜᲐ: ᲔᲡ ᲡᲣᲚ ᲡᲮᲕᲐ ᲞᲠᲝᲑᲚᲔᲛᲐᲐ!

**ᲘᲛ საკითხზე, რომელზედაც ახლა მინდა ვისაუბრო, ძალიან ბევრი ფიქრობს, საუბრობს და წერს, ყველა თავისებურად სჯის, „ჭრის და კერავს“, მაგრამ აუცილებლად საჭიროა ჩავწვდეთ და გავიგოთ რაშია საქმე, გარშემო ვუვლით ამ უცნაურ ციხეს, მაგრამ... ნუთუ შესასვლელი ვერ უნდა ვუპოვოთ? არ გაგიკვირდეთ და იმ პროექტზე მაქვს საუბარი, რომელიც ამ რამდენიმე ხნის წინათ მთავრობამ პარლამენტსა და ხალხს შესთავაზა და, რომელმაც ხმაური კი არა, ისეთი აურზაური გამოიწვია, ბევრი რამ დაგვავიწყა...**

თავდაპირველად, როდესაც ამ პროექტის შესახებ გავიგე, ვერ დავიჯერე, რომ ვინმე ჭკუათამყოფელს ასეთი რამ სდომოდა საქართველოსთვის, თავისი სამშობლოსთვის, თავისი ხალხისთვის... რატომ იცით? ისე „უბრალოდ“ იყო მოწოდებული ამ პროექტის შესახებ ინფორმაცია. მიმიხვდით, ალბათ, იმ წყეულ მარიხუანაზეა საუბარი, რომელსაც, მადლობა ღმერთს, რომ ქართულად კეთილხმოვნად მჟღერადი სახელი – კანაფი ჰქვია, და რომელსაც, თურმე, უძველესი საუკუნეებიდან იცნობს არა მარტო საქართველო, არამედ კაცობრიობა. მას ჭკვიანი ხალხისთვის დიდი სარგებლიანობაც მოჰქონდაო, – ამბობენ, მაგრამ, როგორც ჩანს, არც სულელებისთვის ყოფილა „უსარგებლო“! და ახლა, ოცდამეერთე საუკუნეში, მაშინ, როდესაც კანაფმა კი არადა, უბრალო ქაღალდის წებოდან დაწყებული, მორფმა და რა ვიცი, ვინ ჩამოთვლის, რამდენმა უბედურმა ბალახმა, ასობით სარეველამ, არამედ ფარმაკოლოგიურად გადამუშავებულმა წამლებმა და პრეპარატებმაც (სუნამო-ოდეკოლონების ჩათვლით!), სულ წალეკეს ბრიყვთა და უცოდინართა ჭკუა-გონება, გაუნადგურეს ჯანმრთელობა და მაინც მთავარი ეს არ ყოფილა, მთავარია თურმე აწი რას იქმს ჩვენი მთავრობა თუ ვინმე მავანი ბიზნესმენი. მთავარია, ისარგებლო ამ გაუგებრობით და ხალხში შემოიტანო აყალმაყალი და იმ საკითხზე „მსჯელობა“, რაც ჯერ ყველასთვის გაუგებარია, მაგრამ აქამდე რაც გვაქვს სახეზე, ის კი ვითომც არაფერია და მხოლოდ აწი, მას შემდგ, რაც მთავრობა იმ წყეულ პროექტს განახორციელებს, მეორედ მოსვლა მაშინ გველოდება თურმე! და აი, რა ხდება – გამოვედით ერი და ბერი, მზადა ვართ წინ აღვუდგეთ ... მაგრამ რას? – ეს კი, კარგად არ ვიცით! მართალი გითხრათ, როდესაც ამ პროექტის შესახებ განრისხებულთა ხმებმა ჩემამდე მოაღწიეს, იცით, რა წარმოვიდგინე (დავიჯერე კიდეც!)? – რომ ჰექტარობით მიწებზე გააშენებენ „მარიხუანას“ პლანტაციებს, ქარხნული წესით გადაამუშავებენ ნედლეულს და ლამაზ პაკეტებში შეფუთულს გაიტანენ როგორც ექსპორტზე, ასევე ადგილობრივ ბაზარსაც არ მოაკლებენ ამ სიმდიდრეს. პლანტაციებიც იქნება ხელმისაწვდომი მსურველთათვის ( აბა, ვინ დაიცავს იმოდენა პლანტაციებს!), გამდიდრდება ერთი ვიღაცა, ანუ ქარხნის მეპატრონე, ისედაც მდიდარი ადამიანი, აბა, ღარიბი ხომ ვერ შეძლებს მის გაშენებას! აი, ასეთი „გასაგები“ შინაარსით ვრცელდებოდა და დღემდე ვრცელდება ხალხში ამ ჯადოსნური პროექტის ზღაპარი. ზღაპარი, რომელიც ვიღაცას აწყობს ძილისპირულად კი არა, „ხალხის გამოსაფხიზლებლად!“

არ ვიცი, რას ფიქრობს ამ დროს მთავრობა. გაუგებრობის სათავისოდ გამომყენებელთა შესახებ ცოტა რამ ვიცით, ისიც ვიცით „კანაფის დედოფლობა“ ვის და რატომ „გადაულოცეს“, მაგრამ მართლა არ ვიცით, მთავრობისა თუ იმ პროექტის მომმზადებელთა მიზანი, რომლებიც რისკავენ და არ ითვალისწინებენ არც დროის ფაქტორს (როდის რა წინადადება წამოაყენონ), არც ხალხის განწყობას და, რაც უმთავრესი და უპირველესია, არ ითვალისწინებენ ცოდნით სავსე, შინაარსით გამაგრებული, ზედმეტი კრიტიკისაგან დაზღვეული, აკადემიურობით შემოფარგლული ინფორმაციის ხალხისთვის მიწოდების აუცილებლობას. ბოლოს და ბოლოს, აღელვებული ერისა და ბერის საპასუხოდ გამოსული მთავრობის წარმომადგენელთაგან ძვლივს გავიგე და მივხვდი, თუ რა პროექტზეა საუბარი, რა სურთ მის მესვეურებს... მაგრამ ეს როდია საკმარისი, ყველამ, განსაკუთრებით მოქალაქეებმა, რომელთაც სურთ სამშობლოს კეთილდღეობა, ესმით როგორ დაეხმარება ამა თუ იმ საქმის წარმოება ქვეყნის ეკონომიკის განვითარებას, ესმით რა დაგვაქცევს და რა აგვაშენებს, უნდა ვიცოდეთ რაზეა საუბარი, რას წარმოადგენს ეს პროექტი, სად და როგორ აშენდება პროექტის მიერ დაგეგმილი წარმოება (ქარხანა). დამარწმუნებლად უნდა იყოს გაცემული პასუხი პროექტის კეთილ მიზნებსა და მოსალოდნელ შედეგებზე. იმ ვითარებაში, რომელშიც საქართველო და მისი ხალხი იმყოფება ( სიღარიბე, სიცრუე, გაუნათლებლობა!), ინფორმაციის სიუხვე და სიზუსტეა საჭირო, თორემ განვითარებულ ქვეყნებში, ხომ გავიგეთ, რომ ასეთი პროექტების მიხედვით, უკვე კარგა ხანია, მუშაობენ ქარხნები და აბა, რომელიმე ჩვენგანს თუ გაუგია იმ ქვეყნების მთავრობებისა თუ ბიზნესმენების მიერ ამ ფაქტით აღელვებული და ძლივს დაშოშმინებული ხალხის შესახებ.

**ძვირფასო მკითხველო, დიდი ხანია, უკვე მსოფლიოს ეკონომიურად განვითარებულ, ცივილიზებულ ქვეყნებში აშენებულია და მუშაობს უამრავი სხვადასხვა სახის ქარხანა, ზოგი გველის შხამს ამუშავებს, ზოგი კიბოს უჯრედების დამაზიანებელ ნივთიერებებს, ზოგი რას და ზოგი რას, შორს არ წავალ, სხვა ტექნიკას და ტექნოლოგიებს არ შევეხები. და ხომ ვიცით, რომ ამიტომაც არიან ისინი მდიდრები, განვითარებულები, მეტად განათლებულებიც და თქვენ წარმოიდგინეთ, მეტად კულტურულებიც. არადა, ერთ დროს ისინიც ჩვენს მდგომარეობაში იყვნენ, განსხვავება იმაშია, რომ დროულად მიხვდნენ მისახვედრს, ღმერთს ღმერთისა მისცეს და კეისარს – კეისრისა...**

დიახ, მეტი ინფორმაციულობაა საჭირო, მაგრამ ამასთანავე, მეტი სიყვარული, მეტი ნდობა, მეტი პატივისცემა მთავრობისადმი, ერთურთისადმი. იმიტომ, რომ პეტრე ან პავლე არ გაძვრეს არჩევნებში, არ გამოვიდეს გამარჯვებული,. ხომ ხედავთ, ზოგიერთ კანდიდატს რა ქოქოლას ვაყრით, ქოქოლას ვინ დაეძებს, რა სიბინძურეებს ვაბრალებთ, რა ტალახს ვესვრით!..

**ᲫᲕᲘᲠᲤᲐᲡᲝ ᲛᲙᲘᲗᲮᲕᲔᲚᲝ, ᲨᲔᲕᲔᲪᲐᲓᲔ, ᲠᲝᲛ ᲒᲣᲚᲬᲠᲤᲔᲚᲘ ᲓᲐ ᲩᲕᲔᲣᲚᲔᲑᲠᲘᲕᲘ, ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲣᲠᲘ ᲡᲘᲢᲧᲕᲔᲑᲘᲗ, ᲛᲮᲝᲚᲝᲓ ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘᲗ ᲓᲐ ᲐᲠᲐ ᲣᲪᲮᲝᲣᲠᲘ ᲢᲔᲠᲛᲘᲜᲔᲑᲘᲗ ᲛᲔᲢᲥᲕᲔᲓᲐ ᲩᲔᲛᲘ ᲡᲐᲗᲥᲛᲔᲚᲘ. ᲕᲤᲘᲥᲠᲝᲑ, ᲠᲝᲛ ᲒᲐᲕᲣᲒᲔᲑᲗ ᲔᲠᲗᲛᲐᲜᲔᲗᲡ. ᲕᲤᲘᲥᲠᲝᲑ, ᲠᲝᲛ ᲛᲝᲠᲤᲘᲗᲐ ᲓᲐ ᲡᲮᲕᲐ ᲛᲝᲛᲬᲐᲕᲚᲔᲚ-ᲒᲐᲛᲐᲑᲠᲣᲔᲑᲔᲚ ᲜᲘᲕᲗᲘᲔᲠᲔᲑᲔᲑᲘᲗ ᲒᲐᲗᲐᲜᲒᲣᲚᲘ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲝᲑᲘᲡ (ᲐᲡᲐᲙᲝᲕᲜᲔᲑᲘᲡᲐᲪ!) ᲗᲔᲛᲐ ᲡᲣᲚ ᲡᲮᲕᲐ ᲗᲔᲛᲐᲐ, ᲔᲡ ᲞᲠᲝᲑᲚᲔᲛᲐ ᲣᲙᲕᲔ ᲓᲘᲓᲘ ᲮᲐᲜᲘᲐ, ᲓᲒᲐᲡ ᲩᲕᲔᲜᲡ ᲬᲘᲜᲐᲨᲔ ᲓᲐ ᲗᲥᲕᲔᲜ ᲬᲐᲠᲛᲝᲘᲓᲒᲘᲜᲔᲗ, ᲛᲘᲡᲘ ᲛᲝᲒᲖᲐᲕᲠᲔᲑᲐ ᲛᲮᲝᲚᲝᲓ ᲬᲐᲠᲛᲝᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲘᲗ, ᲥᲐᲠᲮᲜᲔᲑᲘᲡ ᲐᲨᲔᲜᲔᲑᲘᲗ, ᲔᲙᲝᲜᲝᲛᲘᲙᲘᲡ ᲖᲠᲓᲘᲗᲐ ᲓᲐ ᲠᲐᲪ ᲛᲗᲐᲕᲐᲠᲘᲐ, ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲘᲗ ᲗᲣ ᲛᲝᲮᲔᲠᲮᲓᲔᲑᲐ, ᲓᲐᲛᲐᲢᲔᲑᲘᲗ ᲡᲮᲕᲐ ᲒᲖᲐᲡ ᲗᲣ ᲕᲘᲜᲛᲔ ᲛᲝᲜᲐᲮᲐᲕᲡ, ᲐᲛᲐᲡ ᲠᲐ ᲡᲯᲝᲑᲡ!**

**ᲒᲣᲚᲜᲐᲠᲐ ᲡᲢᲣᲠᲣᲐ**

## ᲐᲤᲮᲐᲖᲗᲐ „ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲐ“, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲓᲐᲛᲐᲠᲪᲮᲔᲑᲐᲖᲔ ᲣᲐᲠᲔᲡᲘᲐ!

# ᲣᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲓ ᲛᲙᲔᲠᲓᲛᲝᲭᲠᲘᲚᲘ ᲐᲛᲝᲠᲫᲐᲚᲘ

(ᲛᲔᲡᲐᲛᲔ ᲒᲕᲔᲠᲓᲘᲓᲐᲜ)

შიხალიევმა, ხაგაჟეევმა, ფშეუნოვმა, თემირკანოვმა სცადეს, დაერწმუნებინათ იგი, არ ჩაედინა გამოუსწორებელი. როცა გაირკვა, რომ სპეცრაზმელი ავღანეთში იყო ნაბრძოლი, მოლაპარაკებებში ასევე „ავღანელი“ – ყაბარდოელთა ჯგუფის წევრი ასლან ბალკაროვი ჩაერთო. მერაბს (ასე ერქვა სპეცრაზმელს) ეუბნებოდნენ, რომ ომი დასრულებული იყო, სახლში ახლობლები ელოდნენ და ა.შ. მას სიტყვა მისცეს, რომ დაუტოვებდნენ იარაღს, როგორც ღირსეულ მამაკაცსა და მებრძოლს, თუ ისიც დადებდა პირობას, რომ მას არ გამოიყენებდა. ასეც მოხდა. მერაბმა ხაგაჟეევს ფოტოსურათი ჩააბარა, რომელზეც თამაზ ნადარეიშვილთან და ქართველ გენერლებთან ერთად იყო გადაღებული (ეს ფოტოც ახლა ყაბარდო-ბალყარეთის რესპუბლიკის აფხაზი მოხალისეების კავშირში ინახება შარტავას და გაბესკირიას საბუთებთან ერთად).

**ᲢᲧᲕᲔᲔᲑᲘ ᲥᲕᲔᲛᲝᲗ ᲩᲐᲰᲧᲐᲕᲓᲐᲗ. ᲛᲝᲣᲚᲝᲓᲜᲔᲚᲐᲓ ᲨᲐᲠᲗᲐᲕᲐᲛ ᲠᲐᲛᲓᲔᲜᲯᲔᲠᲛᲔ ᲒᲐᲘᲛᲔᲝᲠᲐ: „ᲛᲔᲢᲘᲡᲛᲔᲢᲐᲓ ᲑᲔᲕᲠᲘ ᲕᲘᲪᲘ, ᲓᲐᲛᲘᲪᲐᲕᲘᲗ.....-ᲒᲐᲜ (ᲐᲫ ᲛᲐᲜ ᲒᲐᲕᲚᲔᲜᲘᲐᲜᲘ ᲐᲤᲮᲐᲖᲘ ᲮᲔᲚᲛᲫᲦᲕᲐᲜᲔᲚᲘᲡ ᲒᲕᲐᲠᲘ ᲓᲐᲐᲡᲐᲮᲔᲚᲔᲚᲐ, ᲠᲝᲛᲔᲚᲡᲐᲪ ᲐᲮᲚᲐᲪ ᲛᲐᲦᲐᲚᲘ ᲗᲐᲜᲐᲛᲓᲔᲑᲝᲑᲐ ᲣᲙᲐᲕᲘᲐ ᲐᲤᲮᲐᲖᲗᲘᲡ ᲮᲔᲚᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲐᲨᲘ), ᲔᲡ ᲫᲐᲚᲖᲔ ᲡᲔᲠᲘᲝᲖᲣᲚᲘᲐᲝ“.**

ზემოდან ჩამოსულმა ხაგაჟეევმა და ამაევმა განაცხადეს, რომ იქ ბევრი უკრაინელის ცხედრები იყო. სწორედ ამ ორმა მოხალისემ აღმართა შენობაზე დროშები – ნატყვიარებით დასერილი ჩერქეზული (ადიღური) და აფხაზური, რომელსაც ჩვეულებრივი კალმით ეწერა: „ყაბარდოელთა ჯგუფი 27.09.1993 წ.“ ( ეს ჩერქეზული დროშაც ახლა ყაბარდო-ბალყარეთის რესპუბლიკის აფხაზი მოხალისეების კავშირში ინახება).

**ᲢᲧᲕᲔᲔᲑᲘ ᲨᲔᲜᲝᲑᲘᲡ ᲛᲐᲠᲪᲮᲔᲜᲐ ᲤᲚᲘᲒᲔᲚᲘᲡ ᲡᲐᲓᲐᲠᲑᲐᲖᲝᲓᲐᲜ ᲒᲐᲰᲧᲐᲕᲓᲐᲗ. ᲬᲘᲜᲐᲛᲓᲔᲑᲐᲠᲔ ᲛᲝᲔᲓᲐᲜᲘ ᲮᲐᲚᲮᲘᲗ ᲘᲧᲝ ᲡᲐᲕᲡᲔ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ „ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲐᲡ“ ᲡᲙᲐᲜᲓᲘᲠᲔᲑᲓᲐ ᲓᲐ ᲰᲐᲔᲠᲨᲘ ᲘᲡᲠᲝᲓᲐ. ᲕᲔᲠᲪ ᲔᲠᲗᲘ ᲛᲐᲗᲒᲐᲜᲘ ᲕᲔᲠ ᲮᲕᲓᲔᲑᲝᲓᲐ, ᲠᲝᲛ ᲨᲔᲘᲐᲠᲐᲦᲔᲑᲣᲚᲘ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘ ᲧᲝᲕᲔᲚᲒᲕᲐᲠᲘ ᲐᲛᲝᲡᲐᲪᲜᲝᲑᲘ ᲜᲘᲨᲜᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲠᲔᲨᲔ ᲘᲧᲝ ᲛᲔᲠᲐᲑᲘ – ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘ ᲡᲞᲔᲪᲠᲐᲖᲛᲔᲚᲘ. ᲛᲐᲡᲐᲪ ᲔᲮᲕᲔᲝᲓᲜᲔᲜ ᲓᲐ ᲙᲝᲪᲜᲘᲓᲜᲔᲜ ᲧᲐᲑᲐᲠᲓᲝᲔᲚᲔᲑᲗᲐᲜ ᲔᲠᲗᲐᲓ.**

ყაბარდოელები ცდილობდნენ, არ მიეშვათ ტყვეებთან ხალხი, რომელიც აგრესიული იყო და მათ პრეტენზიებით აწყდებოდა. თუმცა როგორც მოხალისეები იხსენებენ, შიში ქართველი ტყვეების თვალებში არ იყო. ზოგიერთი სიძულვილნარევადაც კი იღიმოდა. მშვიდი იყო ჟიული შარტავაც და გურამ გაბესკირიაც.

ვალერი არამისოვმა იარაღი შეაგროვა და მისი შენობიდან გატანა დაიწყო, მას სხვებიც ეხმარებოდნენ.

მეჟაევმა, შოროვმა, ფშეუნოვმა და სხვებმა წრე შემოარტყეს ტყვეებს და ცდილობდნენ, მათთან არავინ მიეშვათ, თუმცა ეს არ შველოდათ – მათ ხან ერთი, ხან მეორე მხრიდან ურტყამდნენ.

ყაბარდოელები უყვიროდნენ ბრბოს, „რას სჩადით, ცხოველები ხართო?“. ერთ მომენტში შოროვმა, რომელიც გაბესკირიასთან მიახლოებულ მოქალაქეს ხელი ჰკრა, პირდაპირ კამერის გვერდით იყვირა: „სად იყავით „გმირებო“ ადრეო?“. ერთ-ერთმა მოხალისემ კი ყაბარდოს ენაზე მოუწოდა ადიღებს, „არ შერეოდნენ ამ ბრბოს“.

ამ დროს ხალხმა, რომელსაც არანაირი შეხება არ ჰქონდა შტურმთან, შენობიდან ის აფხაზური დროშა ჩამოხსნა, რომელსაც „ყაბარდოელთა ჯგუფი“ ეწერა და ახალი – სუფთა დროშა დაამაგრა.

ანზორ თემირკანოვი ზემოთ ავარდა და ჩერქეზული დროშა ჩამოხსნა, რომ ისიც უცხოებს არ ჩამოეხსნათ. ეს ალამი მან შემდეგ მეთაურს – შოროვს გადასცა.

ამასობაში მოედანზე მაინც მოკლეს სამი ტყვე. ვიღაცამ „რაფი“ მოაგორა, რომელშიც ტყვეები შეტენეს. შარტავას ყაბარდოელების გარეშე მოედნის დატოვება არ სურდა. გაიფთრებული ბრბო „რაფს“ გასვლის საშუალებას არ აძლევდა და ტყვეებს მანქანის ფანჯრების დამტვრეულ მინებში გაყოფილი ავტომატების კონდახებით სცემდა.

რამდენიმე დარტყმას თავის არეში იღებს გაბესკირიაც. ყველაფერ ამას ახლავს შეძახილები, გინება. ყაბარდოელები ბრბოს წინააღმდეგობას უწევენ. მათი ეს წინააღმდეგობა კინაღამ დაპირისპირებაში გადაიზარდა. მაშინ ხაგაჟეევმა რამდენჯერმე დაიყვირა, „ჰაერი, ჰაერიო“. ბრბო დაიშალა და „რაფმაც“ სასწრაფოდ დატოვა მოედანი.

გზად ტყვეთა ჯგუფი სხვებმა ჩაიგდეს ხელში და დახვრიტეს. შარტავას მოლოდინი გამართლდა.

ვლადისლავ არძინბა განრისხდა, როცა ტყვეთა დახვრეტის შესახებ შეიტყო: მათ, განსაკუთრებით კი შარტავამ, ბევრი იცოდნენ და ცოცხლად სჭირდებოდათ.

ყაბარდოელთა ჯგუფმა ახალი ბრძანება მიიღო და გზა განაგრძო. მანამდე შოროვი და ვართანი ცეცხლმოკიდებული შენობის წინ ერთმანეთს გადაეხვივნენ. სომეხმა თქვა, „ვესალმები ყაბარდოს“, შოროვმა კი – „ვესალმები აფხაზეთს“, რაც ვიდეოშია დაფიქსირებული.

ყაბარდოელებთან ერთად უშუალოდ შტურმში სომეხი ვართანი (ბაგრამიანის სახელობის ბატალიონი) და აფხაზი არძინბა მონაწილეობდნენ – ამ უკანასკნელის სახელი უცნობია.

## P.S.

**ᲛᲔᲠᲐᲑᲘ** გაუშვეს და უთხრეს, თუ ღმერთი ინებებს, შენიანებთან გაგიყვანსო. კითხვაზე, რატომ არ დატოვეთ შენობა მოხალისეების გამოჩენამდე ან თუნდაც შტურმის დროს, მერაბმა განაცხადა: „რაციით გადმოგვცეს, რომ ბატონი შევარდნაძე გმირულად დაიღუპა, მათ საშველად კი სატანკო ნაწილი მოდიოდა, რომ მალე ადგილზე თვითმფრინავი იქნებოდა უკრაინული დესანტით, ხოლო ახალ ათონში მსხვილი საზღვაო დესანტი გადასხეს. როცა მივხვდით, რომ მიგვატოვეს და ახლა გვატყუებდნენ, წასვლა უკვე გვიანი იყო. სწორედ მაშინ გადაწყვიტა შარტავამ, რომ უნდა ჩავბარებულიყავით, რადგან სასიკვდილოდ მიგვატოვეს და გაგვწირეს. ოღონდ მივაღწიო და ყველას ვუამბობ, როგორ მიგვატოვა ხელმძღვანელობამ და სარდლობამ“, – ამბობდა მერაბი.

დამშვიდობებისას მოხალისეებმა გამარჯვების სადღეგრძელო შესვეს. მერაბმა თქვა, რომ მტრის გამარჯვებისას არ შესვამდა, მაგრამ შესვამდა ყაბარდოელების სადღეგრძელოს. **„სამწუხაროა, რომ ჩვენს მხარეს არ იბრძოდით“,** – წარმოთქვა მერაბმა და დასძინა: „თქვენ ჯერ არ იცით, რა ვირისშვილებს ამოუდექით გვერდში“.

**„ᲐᲫᲪᲔᲜᲢᲘ“.**

ᲡᲞᲔᲪᲘᲐᲚᲣᲠᲐᲓ „ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡᲗᲕᲘᲡ“

# „სოკართველოს“ ვარამი

## დანაღმული ველი და სადავო ტერიტორიები საქართველოსა და აზერბაიჯანს შორის

**ამერიკული გამოცემა, „durasianet“-ი ვრცელ სტატიას აქვეყნებს, რომელიც საქართველო-აზერბაიჯანის საზღვარზე არსებულ დანაღმულ ველს, ორ ქვეყანას შორის შეუთანხმებელ სასაზღვრო ზონებს და მეზობელი ქვეყნების ურთიერთობების სხვადასხვა ასპექტებს ეხება.**

**საინფორმაციო სააგენტო „ნიუსპრესი“ გვთავაზობს ბრედლი ჟარდინის ავტორობით გამოქვეყნებული სტატიის ქართულენოვან ვერსიას მცირე შემოკლებით:**

თბილისიდან ერთი საათის სავალზე, აზერბაიჯანის საზღვართან, დანაღმული ველი მდებარეობს — ყველაზე დიდი მათ შორის, რომლებიც საქართველოში ჯერ კიდევ არის შემორჩენილი. პარადოქსია, რომ 25 წლის განმავლობაში საქართველოს ამ ტერიტორიას, არსებითად, აზერბაიჯანის შეიარაღებული ძალები აკონტროლებენ.

ბრიტანული საქველმოქმედო ორგანიზაცია HALO Trust, რომელიც მთელ მსოფლიოში არის ცნობილი თავისი წარმატებული მუშაობით განნაღმვის სფეროში, 2005 წლიდან ცდილობს საქართველოს ხელისუფლებიდან ნებართვის მიღებას დანაღმული მინდვრის განსანაღმავად. HALO Trust-მა ამ პროექტისათვის უკვე შეაგროვა სამი მილიონი დოლარი, მაგრამ, როგორც ჩანს, განნაღმვა არც საქართველოს არ აწყობს და არც აზერბაიჯანს. არადა, 1991 წლიდან ნაღმებზე, რომლებიც „წითელი ხიდის“ საკონტროლო-სასაზღვრო პუნქტთან არის ჩაწყობილი, უკვე 13 ადგილობრივი მოსახლე დაიღუპა. ამ რაიონში მცხოვრები 4400 ადამიანისთვის დანაღმული ველი მუდმივი შეშფოთების მიზეზს წარმოადგენს.

აზერბაიჯანის შეიარაღებულმა ძალებმა ეს ტერიტორია მეზობელ სომხეთთან მთიანი ყარაბაღის გამო მიმდინარე გაგანია ომის დროს დანაღმეს. იმ პერიოდში საქართველოს არაქმედითუნარიანი მთავრობა ჰყავდა, ქვეყნის მნიშვნელოვან ტერიტორიას კი სხვადასხვა ჯურის შეიარაღებული ფორმირებები აკონტროლებდნენ. შესაბამისად, ბაქოში შიშობდნენ, რომ ვაითუ, სომხეთმა უმართავი საქართველოდან ახალი ფრონტი გახსნას და აზერბაიჯანზე შეტევისათვის პლაცდარმად გამოიყენოსო. ყარაბაღის ომი ზავით 1994 წელს დასრულდა. აზერბაიჯანმა თავისი მიმდებარე ტერიტორიის განნაღმვა ჯერ კიდევ 2016 წელს დაასრულა, ქართული კი დღემდე დანაღმული რჩება.

25 წლის მწყემსმა სარხან მუსაევმა 2013 წელს შემთხვევით ფეხი ნაღმს დაებიჯა და... უფეხოდ დარჩა, მისი მეზობელი კი დაიღუპა. სარხან მუსაევი სოფელ ყაჩაღანში ცხოვრობს, უმძიმეს პირობებში. „წითელმა ჯვარმა“ პროთეზი გაუკეთა, საქართველოს ხელისუფლება კი თვეში 100 ლარს უხდის. „რას ფიქრობენ ბაქოში? ეს ხომ საქართველოს ტერიტორიაა“, — გაბრაზებული ამბობს სარხან მუსაევი.

აზერბაიჯანს არა მარტო არ მიაქვს ამ ტერიტორიიდან თავისი ნაღმები, არამედ დრო და დრო დანაღმულ ველს ამოწმებს კიდეც — ყველაფერი წესრიგშია თუ არა: „მაშ, რა ვქნათ? სომხეთის აგრესია აზერბაიჯანის წინააღმდეგ ჯერ კიდევ გრძელდება, — ამბობს აზერბაიჯანის საგარეო საქმეთა სამინისტროს პრესსამსახურის უფროსი ჰიქმეთ გაჯიევი, — იმის გათვალისწინებით, რომ აღნიშნული რაიონი სამი სახელმწიფოს საზღვრების პირზე მდებარეობს, ეს საკითხი ჩვენი ეროვნული უსაფრთხოების თვალსაზრისით განიხილება. საქართველოსთან მეგობრული დამოკიდებულება გვაქვს, ჩვენი მეზობელი გაგებით ეკიდება სიტუაციას“. რაც შეეხება საქართველოს შინაგან საქმეთა უწყებას, ის ამ საკითხზე კომენტარს არ აკეთებს.

დანაღმული ველის ფართობი 2,2 კვ.კილომეტრია. HALO Trust შეფასებით, მის განნაღმვას სამი წელი დაჭირდება და ამ მიზნით დაახლოებით 3 მილიონი დოლარი დაიხარჯება.

**„გვეშინია ამ ნაღმების გამო. გვინდა, რომ ჩვენი შვილები უსაფრთხოდ იყვნენ და მშვიდად ითამაშონ“,** — ამბობს ყაჩაღანის სკოლის დირექტორი ჰუსეინ ჰუსეინოვი. მისი თქმით, 2016 წელს ადგილობრივმა მცხოვრებლებმა საზღვრიდან 800 მეტრის მოშორებით ტანკსაწინააღმდეგო ნაღმები იპოვეს. მშობლები შიშობენ — ვაითუ, ბავშვებს რაიმე მოუვიდეთო. 2018 წლის იანვარში მინდორზე მომხდარი ხანძრის გამო 28 ნაღმი აფეთქდა. არავინ დაშავებულა, მაგრამ ადგილობრივი მოსახლეობა — ეთნიკური აზერბაიჯანელები მომხდარში თავიანთ მტერს — სომხეთს ადანაშაულებენ: **„ცეცხლი სომხეთის ტერიტორიიდან გადმოვიდა, — ამბობს სკოლის მასწავლებელი აიდინ ნამაზოვი, — დარწმუნებული ვარ, რომ სომხებმა ცეცხლი სპეციალურად გააჩინეს“.** ამასთან, იგი მიიჩნევს, რომ დანაღმულმა მინდორმა თავისი მნიშვნელობა დაკარგა: **„ეს ნაღმები არავის არ იცავს. თუ ჩვენს დასაცავად ჩაწყვეს, მაშინ რა აზრი აქვს, როცა ჩვენი ნაღმები ჩვენივე ხალხს ხოცავს?“.**

ადგილობრივი ხელისუფლება ვერაფერს აკეთებს. ყაჩაღანის გამგებელს აჰმედჯან ალიევს ნახევრად დანგრეული კაბინეტი აქვს, ცუდი განათებითა და წვიმისაგან ჩაშავებული ჭერით: „ხალხი არა მარტო აზერბაიჯანს აკრიტიკებს იმისთვის, რომ ნაღმებს არ იღებს, არამედ საქართველოსაც, რომ თბილისი მათ აღებას ბაქოს არ თხოვს. აბა, ასეთ სიტუაციაში რა უნდა ვქნა? მხოლოდ ის, რომ მოსახლეობა რეგულარულად გავაფრთხილო, დანაღმულ მინდორზე სიარულს მოერიდონ“. სამწუხაროდ, აქაურ მოსახლეობას მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვიც ეღუპება ნაღმებისაგან.

აზერბაიჯანი ამ საკითხში გარედან ჩარევას ვერ ითმენს და განნაღმვის წინადადებებს მტრულად ეკიდება. 2015 წლის აგვისტოში მას შემდეგ, რაც საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ HALO Trust-ს დანაღმული მინდვრის შემოწმების ნება მისცა, იქ იმ წუთშივე აზერბაიჯანელი სამხედრო მოსამსახურეები მივიდნენ და ორგანიზაციის წარმომადგენლებს შემოწმების შეწყვეტა მოსთხოვეს — მიუხედავად იმისა, რომ HALO Trust ჯგუფს საქართველოს თავდაცვის სამინისტროსა და სასაზღვრო პოლიციის წარმომადგენლებიც თან ახლდნენ.

HALO Trust-ის წარმომადგენლების თქმით, როცა ისინი დანაღმულ ველს საზღვრიდან 50 მეტრზე მიუახლოვდნენ, აზერბაიჯანელებმა იარაღი საბრძოლო მზადყოფნაში მოიყვანეს: აამუშავეს ტანკები და მძიმე არტილერია პოზიციებზე დააყენეს. ამ ინციდენტის შემდეგ საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ სასაზღვრო ზონაში ყველანაირი სამუშაოები შეაჩერა. თავის მხრივ, აზერბაიჯანი ბრალდებებს უარყოფს და აცხადებს, რომ „ფაქტები ყალბია და ისინი სინამდვილეს არ შეესაბამებიან“.

HALO Trust-ის ერთ-ერთი პროექტის ხელმძღვანელი ირაკლი ჭითანავა ამბობს, რომ თუ 2018 წლის ბოლომდე დანაღმული ველის განნაღმვის თაობაზე ნებართვა არ იქნება მიღებული, მაშინ ორგანიზაცია იძულებული გახდება, საქართველოდან წავიდეს. და თუ ეს მოხდება, სამომავლოდ ტერიტორიის განნაღმვა უფრო ძვირი დაჯდება.

აზერბაიჯანის უარი გაუგებარია. ზოგი ამბობს, რომ ბაქო უკმაყოფილოა HALO Trust-ის მუშაობით მთიან ყარაბაღში, სომხეთის მიერ კონტროლირებულ ტერიტორიაზე. გარდა ამისა, ხმები დადის, რომ საქართველოც განაწყენებულია იმით, რომ ორგანიზაციამ თბილისს თავის სპონსორებთან უჩივლა — ქართველები მხარს არ გვიჭერენ განნაღმვის საკითხშიო.

საერთოდ, საქართველო ნამდვილად შეიძლება იყოს დაინტერესებული დანაღმული მინდვრის შენარჩუნებით: **„ნაღმები საზღვრის დაცვას მნიშვნელოვნად აიოლებენ“,** — უთხრა EurasiaNet-ის კორესპონდენტს ქართულ სასაზღვრო პოლიციასთან დაახლოებულმა წყარომ.

საქართველოსა და მის მოკავშირე აზერბაიჯანს შორის კიდევ ერთი პრობლემური სადავო ტერიტორია არსებობს — დავით გარეჯის სამონასტრო კომპლექსი. 1996 წელს ორი მეზობელი საზღვრის დელიმიტაცია-დემარკაციაზე შეთანხმდა, მათ შორის მონასტრის რაიონშიც. 2007 წლისათვის დელიმიტირებული იქნა საზღვრის 70%, მაგრამ იმ დროიდან პროცესი თითქმის შეჩერდა. აზერბაიჯანი მონასტრის ირგვლივ მდებარე ტერიტორიას სამხედრო თვალსაზრისით სტრატეგიულად მნიშვნელოვან ტერიტორიად მიიჩნევს. მისი საერთო ფართობი დაახლოებით 25 კვ. კილომეტრს შეადგენს. ამ ადგილის ირგვლივ დაძაბულობა პერიოდულად მწვავდება ხოლმე: 2012 წელს აზერბაიჯანელმა მესაზღვრეებმა ქართველ მღვდლებს და ტურისტებს მოძრაობა აუკრძალეს. ასეთმა მოქმედებამ თბილისსა და ბაქოს შორის დიპლომატიური კრიზისი გამოიწვია. ორივე ქვეყნის პრეზიდენტმა ეს ინციდენტი ნატოს ჩიკაგოს სამიტის ფარგლებში განიხილეს და შეთანხმდნენ, რომ ქართველ მღვდლებს მონასტრის კომპლექსის ტერიტორიაზე გადაადგილების ნება მიეცემოდათ.

**ქართველი საზოგადოება შეფიქრიანებულია იმითაც, რომ აზერბაიჯანი ხელყოფს საქართველოს სუვერენიტეტს — მაგალითად, ჟურნალისტ აფგან მუხთარლის გატაცებასთან დაკავშირებით, 2017 წელს.**

**უნდა ითქვას, რომ საქართველო ენერგორესურსებით უზრუნველყოფის საქმეში თითქმის მთლიანად აზერბაიჯანზეა დამოკიდებული და ეს დამოკიდებულება ძლიერდება: თბილისი ბაქოსგან მოხმარებული ბუნებრივი გაზის 90%-ს იღებს. საქართველოს მთავრობის ზოგიერთი კრიტიკოსი თავის ქვეყანას „სოკართველოს“ უწოდებს, აზერბაიჯანის ნავთობგაზის კომპანია „სოკარის“ აბრევიატურის მიხედვით.**

**„DURASIANET“ (აშშ)**

## მე მჯერა, რომ გია თვალავაძე ბუნებით წესიერი კაცია

**ამის შესახებ ჯანდაცვის მინისტრმა დავით სერგეენკომ სამედიცინო რეგულირების ყოფილი ხელმძღვანელის გია თვალავაძის დაკავებასთან დაკავშირებით განაცხადა.**

მისი თქმით, მინისტრი არის პასუხისმგებელი ყველაფერზე, რაც კი ხდება სამინისტროს დაქვემდებარებულ მიმართულებებზე.

**„მე მჯერა, რომ გია თვალავაძე ბუნებით წესიერი კაცია. მინდა, ყველას ვთხოვო, სანამ ის ბრალდებულია და სანამ სასამართლოს არ მიუღია საბოლოო გადაწყვეტილება, თავი შეიკავოს შეფასებისგან იმიტომ, რომ კიდევ ერთხელ ვიძახი, გია თვალავაძე წესიერი კაცია და სასამართლო დაადგენს ობიექტურ რეალობას. რა თქმა უნდა, სამინისტროს რეპუტაციაზე ამან იმოქმედა და მინისტრის რეპუტაციაზეც ამან იმოქმედა, რადგან მინისტრი არის პასუხისმგებელი ყველაფერზე, რაც კი ხდება სამინისტროს დაქვემდებარებულ მიმართულებებზე“,** — განუცხადა სერგეენკომ.

ცნობისთვის, სააფთიაქო ნარკომანიის საქმეზე დაკავებულ 6 პირს, მათ შორის, ჯანდაცვის სამინისტროს სსიპ სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტოს ყოფილ უფროსს გია თვალავაძეს აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა შეეფარდა.

## დიდი ხანია, ლონდონში არ ვყოფილვარ, ექვსი წელია და დიდი სიამოვნებით ჩავალ

„ომეგა ჯგუფის“ და ტელეკომპანია „იბერიას“ საქმესთან დაკავშირებით, ჟურნალისტის მიერ დასმულ შეკითხვას, აპირებს თუ არა ლონდონში ჩასვლას, შინაგან საქმეთა მინისტრმა გიორგი გახარიამ უპასუხა, რომ იქ დიდი ხანია, არ ყოფილა და აუცილებლად ჩავა.

**„დიდი ხანია ლონდონში არ ვყოფილვარ, მართლა, დაახლოებით 6 წელია და დიდი სიამოვნებით ჩავალ ლონდონში. როდესაც არსებობს ეჭვები, განსაკუთრებით თანამდებობის პირებთან დაკავშირებით, რა თქმა უნდა, შესაბამისმა უწყებებმა უნდა იმოქმედონ კანონის სრული დაცვით და რაც შეიძლება სწრაფად, იმისთვის, რომ ამ კითხვებს, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში როდესაც ეს კითხვები გაურკვეველია, გაეცეს შესაბამისი პასუხი“,**— განაცხადა გიორგი გახარიამ.

საუბარია „ომეგა ჯგუფის“ სარჩელზე, რომლითაც კომპანიამ ლონდონის სასამართლოს მიმართა. როგორც კომპანიის ბრიტანელმა ადვოკატმა განაცხადა, ლონდონის სასამართლოს წინაშე თავის მართლება, ივანიშვილთან ერთად, გიორგი გახარიას, დიმიტრი ქუმსიშვილს, ნოდარ ხადურს, ლევან ყიფიანსა და ანზორ ჩუბინიძეს მოუწევთ. საქმე ეხება აუდიოჩანაწერებს, საიდანაც ირკვევა, რომ „ომეგა ჯგუფს“ წილების გადანაწილებას და თანხებს სთხოვდნენ. ჩანაწერში ყოფილი და მოქმედი მაღალჩინოსნები ფუგურირებენ. აუდიოჩანაწერის მიხედვით, თითოეული გაყიდული კოლოფი სიგარეტიდან 2,5 თეთრი, „ქართულ ოცნებაში“ მიდიოდა. გავრცელებულ ჩანაწერებზე გამოძიება დაწყებულია, ჯერჯერობით მისი ავთენტურობა დადასტურებული არ არის.

# ხელსიმინდისტაროიანი ტაკიმასხარა

**1953 წლის 7 სექტემბერს სსრ კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე ნიკიტა ხრუშჩოვი ცკ-ის პირველ მდივნად აირჩიეს. თანამედროვე ისტორიკოსთა დიდი ნაწილის აზრით, სწორედ ახალმა ლიდერმა საფუძველი ჩაუყარა საბჭოთა კავშირის ნგრევას, რომელიც საბოლოოდ მისმა პირველმა და უკანასკნელმა პრეზიდენტმა მიხეილ გორბაჩოვმა დაასრულა.**

— როგორც ბოლოს აღმოჩნდა, ნიკიტა ხრუშჩოვის ყველა წამოწყება ქვეყანას უდიდესი ზარალის ფასად დაუჯდა. რძისა და ხორცის წარმოებით ამერიკის „დაწევა-გადასწრებამ“ საბჭოთა ქვეყნის სოფელს ძირი გამოუთხარა, — ამბობს ცნობილი ისტორიკოსი ალექსანდრე მიასნიკოვი — იოსებ სტალინის დროს ნედლი ნავთობის გაყიდვა საზღვარგარეთ აკრძალული იყო — ექსპორიტზე მხოლოდ ნავთობქიმიის ნაწარმი უნდა გაეტანათ. ხრუშჩოვის დროს კი ნავთობსადენები ააშენეს, რომლებზეც საბჭოთა კავშირის სამართალმემკვიდრე რუსეთი დღემდე, კაი ნარკომანივით, „ნემსზეა შემჯდარი“. სიმინდის ძალა-ძალაზე კულტივაცია ხომ საერთოდ ანეკდოტია!

ზოგიერთი ხრუშჩოვის „ფანატი“ მის დამსახურებად კოსმოსის კვლევაში პირველობას ასახელებს, მაგრამ ის კი ავიწყდებათ, რომ ამ საქმის მესაძირკვლე ისევ და ისევ იოსებ სტალინი იყო: კოსმოსში პირველი საბჭოური რაკეტა ჯერ კიდევ 1948 წელს გაუშვეს, ხრუშჩოვმა უბრალოდ ღონივრად დაწყებული საქმე გააგრძელა. არც ის უნდა გამოგვრჩეს მხედველობიდან, რომ სხვაგვარად ვერც მოხდებოდა — საქმე ისე მკვიდრად იყო აწყობილი!

ამას ისიც უნდა დავამატოთ, რომ ხრუშჩოვმა თვით სტალინზე მეტი ძალაუფლება ჩაიგდო ხელში: იგი არა მარტო კომპარტიას, არამედ მინისტრთა საბჭოსაც ჩაუდგა სათავეში — ისე, უბრალოდ, „თავის ხოშზე“!

**ხრუშჩოვის აპოლოგეტებსა და სტალინის მოძულეებს ხელზე დახვეული აქვთ ისიც, რომ მან „პიროვნების კულტი “ „ისტორიის სამარცხვინო ბოძზე“ გააკრა, მაგრამ იმას კი საჯაროდ არავინ ამბობს, რომ კომუნისტური პარტიის მე-20 ყრილობამდე (რომელზეც ხრუშჩოვმა სტალინის „დანაშაულებრივ“ მოღვაწეობაზე ცნობილი სიტყვა წარმოთქვა, რედ.)** სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს 200(!!!) თანამშრომელი თვეების მანძილზე არქივებში იყო ჩამჯდარი და რეპრესიებთან დაკავშირებული ყველა დოკუმენტი მოსპო, სადაც ლაპარაკი ამ საშინელებაში ხრუშჩოვის განსაკუთრებული აქტიურობით გამორჩეულ საქმიანობას ეხებოდა! ამ საკითხთან დაკავშირებით თანამედროვე მკვლევარები ვერც ერთ(!) დოკუმენტს ვერ ძებნიან, თუმცა კი დღემდეც კი ცოცხლად შემორჩენილია ერთეულობით ადამიანები, ვისაც კარგად ახსოვთ, რომ **მასავით მასობრივი დახვრეტების ინსიციატორი, არც მოსკოვში, არც შემდგომ უკრაინაში, კაცი არ ყოფილა!** ამასთან დაკავშირებით, თურმე, სტალინს ერთხელ უთქვამს: „რას შვრები, ნიკიტა, სად გაგონილა ყოველ კვირა რამდენიმე ათასი კაცის დახვრეტა?!“ უკრაინიდან გამოგზავნილ დასახვრეტთა უზარმაზარი სიისთვის კი სულაც წითელი ფანქრით წაუწერია: „Уймись, дурак“! („დაოკდი, ბრიყვო“! - **ო. ტ.**) ამდენად, მამხილებელი საბუთების განადგურებით ხრუშჩოვმა, თავის ჭკუით, ხიფათს თავი აარიდა და ყველაფერი ერთპიროვნულად სტალინს გადააბრალა.

„ნიკიტანელებს“ პოლიტიკური მუხლებით არაერთი ათასი კაცის ამნისტირება თითზე აქვს დახვეული, თუმცა კი იმის აღნიშვნა ავიწყდებათ, რომ ხრუშჩოვის ამნისტიით ბანაკებიდან დაახლოებით 200 ათასი კაცი გაათავისუფლეს, მალენკოვისა და ლავრენტი ბერიას შეწყალებით კი — მილიონი. სწორედ მალენკოვმა ხალხს საკარმიდამო მეურნეობის წარმოების, შინაური ცხოველებისა და ფრინველის ყოლის ნება დართო. ხრუშჩოვმა კი ყველაფერი მოსპო: ბეგარა... ვაშლის ხეებსაც კი დაადეს(!!), ამიტომ გულშემოყრილმა ხალხმა ბაღებში ვაშლის ხეების გაჩეხა დაიწყო, საქონელს ყელს ჭრიდნენ...

რაც შეეხება 60-70-იან წლებში საბჭოთა კავშირში ლამის ახალგაზრდულ ახალ რელიგიად გამოცხადებულმა ყამირის მიწების ათვისებამ, ამან სოფლის მეურნეობა თითქმის ერთიანად დაშლა გამოიწვია. საქმე ისაა, რომ, მეორე მსოფლიო ომიდან ჯარისკაცებმა ოჯახებში დაბრუნება 40-იანი წლების მიწურულს დაიწყეს და ის-ის იყო სოფლის ფეხზე წამოყენება წამოიწყეს, „ყამირის გიჟმაჟობაც“ ამ დროს დაიწყო, რომელმაც მართალია სამი მოსავალი კი მოიტანა, მაგრამ შემდეგ ქარმა მიწის მთელი ნაყოფიერი ფენა... მაროვოს მიმართულებით გახვეტა. **ყამირმა, რასაც ჰქვია, ჩაკლა ცენტრალური რუსეთის სოფლის მეურნეობა,** საიდანაც ხალხი ყაზახეთის ტრიალ ტრამალში გადაასახლეს. ამის შედეგად ქვეყანაში პური გაწყდა და სწორედ ხრუშჩოვის დროს დაიწყო ქვეყანამ მარცვლეულის საყიდლად ოქროს მარაგის გაყიდვა. როცა ამერიკელებმა ჰკითხეს ხრუშჩოვს, თუ რატომ არ უნდა, რომ იგივე ფული საბჭოთა გლეხებს გადაუხადოს, მან უპასუხა, მაშინ ისინი მდიდრები და დამოუკიდებლები გახდებიანო.

გარდა იმისა, რომ ქვეყანა უპუროდ დატოვა, ნიკიტამ ქვეყნის ისტორიაში პირველმა მოაწყო ტემირტაუში ხალხის მასობრივი დახვრეტა, რომელიც კომკავშირულ მშენებლობაზე შექმნილი არაადამიანური პირობების გამო აჯანყდა. ხოლო როცა ჯარისკაცებმა უარი თქვეს უდანაშაულო, უიარაღო ადამიანებისთვის თოფის სროლაზე, მაშინ მათ დასახვრეტად საპატიმრო ბანაკების ზედამხედველები მიუშვეს. ეს 1959 წელს მოხდა! 1962 წელს კი მუშები უკვე ნოვოჩერკასკში დახვრიტეს...

ხრუშჩოვის დამსახურება კი ხალხის კომუნალური ბინებისა და ბარაკების სრულიად გაუსაძლისი პირობებიდან ცალკეულ საკუთარ, შემდეგ „ხრუშჩოვკებად“ მონათლულ, ფაქტობრივად კი, მასშტაბში ოდნავ გადიდებული „ასანთის კოლოფებში“ გადაყვანა იყო: არადა, მათი მასობრივი მშენებლობა ჯერ კიდევ ისევ სტალინის დროს დაიწყო.

„ნიკიტუშკამ“ მთელი საბჭოური საგარეო პოლიტიკის მონაგარის „წაშლაც“ მოახერხა, მათ შორის მისი უტვინო მმართველობის დროს, ორჯერ მსოფლიო ომის კატასტროფის წინაშე ვიდექით: პირველი შემთხვევის შესახებ საყოველთაოდაა ცნობილი — ესაა ეგრეთ წოდებული „კარიბის კრიზისი“, როცა საბჭოთა კავშირმა ბალისტიკური რაკეტები კუბის კუნძულზე განათავსა, მაგრამ მაშინ, მადლობა ღმერთს, ამერიკის შეერთებულ შტატებს სათავეში გონიერი ჯონ კენედი ედგა, რომლის სიმტკიცემ ქვეყნიერება არმაგედონს გადაარჩინა. მეორე ამბავი ინდონეზიასთანაა დაკავშირებული, რომელიც 60-იანი წლების დასაწყისში დე ფაქტო ჰოლანდიის კუთვნილება იყო. ხრუშჩოვმა ამ კუნძულოვანი სახელმწიფოს სანაპიროსთან საბჭოთა კავშირის მთელი წყნარი ოკეანის ფლოტი, ავიაცია და ათასობით ინდონეზიის ჯარის ფორმაში გადაცმული საბჭოელი ჯარისკაცი გაგზავნა... ახლა წარმოიდგინეთ, თუ რა შედეგი შეიძლებოდა მოჰყოლოდა „ნიკიტუშკა-დურაჩოკის“ ამ „ომობანას“ თამაშს, სხვებს გონიერების თუნდაც ჩანასახები რომ არ გამოეჩინათ...

ცალკე თემაა კიდევ ერთი, ეგრეთ წოდებული შიდა ვითარების „დათბობა“ („ოტეპელი“), რომელიც მხოლოდ ინტელიგენციის ვიწრო ფენას შეეხო და ხალხმა ის ნაკლებად იგრძნო. სწორედ ამ დროს მოეწყო გამოფენა მანეჟში, სადაც ხრუშჩოვმა ხელოვანებს სულ „დედ-მამის გინებით“ აუხსნა, თუ როგორ უნდა ხატონ მხატვრებმა და როგორ — არა. გარდა ამისა, ხრუშჩოვი ბედნიერების რომანტიკულ ილუზიას ჰქმნიდა: „ადამიანთა თანამედროვე თაობა იცხოვრებს კომუნიზმში!“ ეს კი, ფაქტობრივად, იმას ნიშნავდა, რომ, მართალია, ახლა ყველაფერი რიგზე არ არის, სამაგიეროდ 1980 წლისთვის კომუნიზმი გვექნებაო. თავდაპირველად, ხალხს რატომღაც სჯეროდა ამისა, მაგრამ მერე მიხვდა, რომ ყველაფერი, რომ იტყვიან, „მამალი ტყუილია“. სწორედ ეს იყო იმის შედეგი, რომ ირონიული დამოკიდებულება გაჩნდა: როცა სახელმწიფოს მეთაურზე ანეკდოტების მოყოლას საყოველთაოდ იწყებენ, ეს უკვე განაჩენია, მისი საქმე წასულია.

**ბოლოთქმის მაგიერ.** ნიკიტა ხრუშჩოვის შვილი სერგეი ამჟამად ამერიკის შეერთებულ შტატებში ცხოვრობს. კაცმა რომ თქვას, მამის თავგამოდებული დამცველი იგი კი არ არის, მაგრამ არც „მის ტყავს ხევს“ მაინცდამაინც. მისი თქმით, მამამისის დროს, მართალია, პური არ იყო, სამაგიეროდ სხვა სურსათის წარმოება ორჯერ გაიზარდა. თანაც ხელისუფლების (უფრო **ზუსტად, მამამისის — ო. ტ.**) ლანძღვაც შეიძლებოდა. ამასთან იგი კატეგორიულად უარყოფს, რომ ხალხი მამამისს კლოუნად აღიქვამდა და ამბობს, რომ ეს ყველაფერი სუკ-ის ხრიკებია. მამის ნაკლოვანებად კი იგი... მხოლოდ ყბედობასა და ზედმეტად მიმნდობლობაში, ასევე სიმინდისადმი გადაჭარბებულ სიყვარულში ხედავს. რაც შეეხება გლეხებისთვის ძროხების ჩამორთმევას და ვაშლის ხეებზე გადასახადის შემოღებას, სერგეი ხრუშჩოვი ირწმუნება, რომ ეს, უბრალოდ, ადგილზე გადაცდომები იყო, რის გამოც დამნაშავენი დაისაჯნენ კიდეც. მამამისის დიდ შეცდომას კი იოსებ სტალინის მავზოლეუმიდან გამოსვენებას მიიჩნევს, რაც ხალხმა მართებულად არ აპატია. ის ჩინელების მსგავსად უნდა მოქცეულიყო: მას შემდეგ, რაც მაო ძე-დუნი გარდაიცვალა, სახელმწიფომ რეფორმები კი ჩაატარა, მაგრამ მავზოლეუმს არ შეხებიან, ამიტომაც ეს ამბავი დავის საგნად არც ქცეულა...

**მოამზადა**
**ოთარ ტურაბელიძემ**

# რას არ გაიგებ...

• **ყველაზე** ძვირიანი თანამედროვე შეიარაღება მეხუთე თაობის ამერიკული ავიაგამანადგურებელი F-36-ია, რომელიც 100 მილიონი დოლარი ღირს.

• **უცხოელებს,** რომლებიც თავიანთ ქვეყნებში საბჭოთა კავშირის აგიტაციას ეწეოდნენ, ვლადიმერ ლენინი „სარგებლის მომტან იდიოტებად“ მოიხსენიებდა.

• **ამერიკელთა** მიერ ჩატარებული გამოკვლევით, ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებს შორის ყველაზე მორწმუნე ქვეყანა საქართველოა, სადაც მოსახლეობის 99 პროცენტს ღმერთისა სწამს, ლიდერთა სამეულში კი ასევე შედიან სომხეთი და მოლდოვა (95-95 პროცენტი).

• **ჩვეულებრივ** ლოკოკინას 25 ათასი კბილი აქვს.

• **მარწყვი** შესანიშნავად ერწყმის დაკონსერვებულ ანანასსა და ბანანს, ფაფებსა და ტკბილ ომლეტს, ხოლო თუ დაჭრილ კენკრას შავ პილპილს დააყრით და ნაღების კარაქში მოხრაკავთ, ნაყინისა და რძის სხვა ნაწარმისთვის შესანიშნავი საწებელი გამოგივათ.

• **ცოლქმრული** ღალატი ირანში აძუაგადას კანონით, ზოგჯერ სასიკვდილო განაჩენის გამოტანითაც ისჯება.

• **უქონელ** კაცზე აღმოსავლეთში ამბობენ: „ის ღარიბია, მას ჩრდილი არა აქვსო“, ამიტომაც ძველ ეგვიპტეში ბაღებს არა მხოლოდ პრაქტიკული სარგებლისთვის, არამედ თვალის გასახარად და ჩრდილის შესაქმნელად აშენებდნენ.

# თუ გვინოსობა გინდათ...

**ყველაზე** სწორი აზრები თურმე კაცს მაშინ მოსდის, როცა მშიერია...

კუჭის სისავსესა და გონების სიმახვილეს შორის კავშირი ჰოლანდიელმა მეცნიერებმა დაადგინეს.

ტესტირებამ აჩვენა, რომ მოხალისეები მშიერი მუცლით დავალებებს უფრო სწრაფად და ხარისხიანად ასრულებდნენ, ხოლო საუზმობის შემდეგ კი მათ შესრულებას გაცილებით მეტ დროს ანდომებდნენ და მეტ შეცდომასაც უშვებდნენ.

# განათლება სიცოცხლეს ახანგრძლივებს

**ამერიკელმა მეცნიერებმა გამოიკვლიეს, რომ კოლეჯის კურსდამთავრებულები საშუალოდ 6 წლით მეტს ცოცხლობენ იმათთან შედარებით, ვინც მხოლოდ სკოლა დაამთავრა.**

მკვლევარები ვარაუდობენ, რომ განათლება არა მარტო მაღალ შემოსავალს უზრუნველყოფს, რომელიც მაღალი ხარისხის სამედიცინო მომსახურების მიღების შესაძლებლობას ქმნის, არამედ საჯარო სამსახურის შოვნისა და ჰობით გატაცების საშუალებასაც იძლევა.

# პოლონეთი და საქართველო: ერთ ხედვაში...

**პოლონური გამოცემის, „Gazeta Polska“-ს მიერ გამოქვეყნებულ სტატიაში განხილულია პოლონეთისა და საქართველოს ურთიერთობის საკითხები: რამდენად მნიშვნელოვანია საქართველო პოლონეთისთვის? როგორ უყურებს პოლონეთი საქართველოს პრობლემებს? რით უნდა დაეხმაროს პოლონეთი საქართველოს? (ავტორი — პშემისლავ ჟურავსკი).**

საქართველო ერთადერთი ქრისტიანულ-მართლმადიდებელი ქვეყანაა, რომელმაც შუა საუკუნეებში საკუთარი რაინდული ეპოსი შექმნა — იმის მსგავსი, როგორიც იმავე პერიოდში ლათინურ ევროპაში არსებობდა. პოემა „ვეფხისტყაოსანი“, რომელიც მე-12 საუკუნეში შოთა რუსთაველმა დაწერა, შეიძლება „სიმღერა როლანდის“ ანდა პოლონელი რაინდის ზავიშ ჩერნის ანალოგად ჩავთვალოთ. ჩვენი ქვეყნების კულტურას ერთმანეთთან აახლოებს აგრეთვე პოლონური შლიახტის და ქართული თავადაზნაურობის სოციალური როლი და რუსეთის უღელქვეშ ყოფნის საერთო გამოცდილება.

თუმცა, დავანებოთ თავი ისტორიულ, მორალურ და სენტიმენტალურ მატერიებს და ემოციების გარეშე განვიხილოთ, თუ რა ინტერესები გვაკავშირებს საქართველოსთან. აქ ორი ასპექტი უნდა გამოვყოთ:

**პირველი** — საქართველო წარმოადგენს კრემლის მიერ უკონტროლო ტრანზიტულ დერეფანს კასპიის რეგიონიდან ევროპაში ენერგორესურსების გადასატანად. უიმისოდ ისეთ პროექტებს, როგორიცაა ნავთობსადენი „ბაქო-სუფსა-ბროდი-პლოცკი-გდანსკი“ ან გაზსადენი „ბაქო-პერემიშლი“, აზრი არ ექნება. საქართველოს სუვერენიტეტი და უსაფრთხოება საშუალებას იძლევა, შეიქმნას „სამი ზღვის — ბალტიკა-ადრიატიკა-შავი ზღვის“ („Baltic-Adriatic-Black Sea“, BABS) ენერგეტიკული დამოუკიდებლობის სამხრეთი საყრდენი. 2008 წელს რუსმა სამხედროებმა წინასწარგანზრახულად დაანგრიეს ის ინფრასტრუქტურა, რომელიც კასპიის ზღვიდან შავი ზღვისაკენ ნავთობ-გაზის გადატანას ემსახურება, რაც „რუსული მილსადენური გეოპოლიტიკის“ ჭეშმარიტ სურათს გვაჩვენებს. ეს ეხება აგრეთვე „ჩრდილოეთის ნაკადის“ მეორე რიგის მშენებლობას, რომელიც პოლონეთის, ბალტიის ქვეყნებისა და უკრაინის ინტერესებს აზიანებს.

**მეორე** — საქართველო, სუვერენული სახელმწიფო და გაეროს წევრი გახდა პირველი ქვეყანა, რომელმაც 1991 წლიდან რუსეთის აგრესიის გამოცდილება მიიღო. ამ „წარმატებამ“ რუსებს შეიძლება ილუზიები გაუჩინოს, რომ სამომავლოდ იგივეს გამეორება დაუსჯელად შეიძლება. პოლონეთი დაინტერესებულია, რომ მსგავსი აგრესია აღარ განმეორდეს. ამრიგად, ამ კავკასიური ქვეყნის პოლიტიკურ-ფსიქოლოგიური მნიშვნელობა აჭარბებს მატერიალურ პოტენციალს და პოლონეთის უსაფრთხოებისათვის საქართველო საკვანძო სახელმწიფოს როლს ასრულებს.

## პრეზიდენტი ლეხ კაჩინსკი და საქართველო

**პრეზიდენტი ლეხ კაჩინსკი საქართველოში 7-ჯერ იყო ჩასული, თუმცა ამ ვიზიტებიდან განსაკუთრებით უნდა გამოვყოთ 2008 წლის 12 აგვისტო (რუსეთის აგრესიის პერიოდი) და 23 ნოემბერი (როცა პრეზიდენტის კორტეჟს სოფელ ოძისთან სროლა აუტეხეს).** მიმდინარე წლის 7 აგვისტოს პოლონეთის საგარეო საქმეთა მინისტრი იაცეკ ჩაპუტოვიჩი ლიეტუველ, ლატვიელ და უკრაინელ პოლიტიკოსებთან ერთად ეწვია იმავე ადგილს, რომელსაც ქართველები „გამმიჯნავ ხაზს“ უწოდებენ. ჩვენ ხომ მსგავსი „ხაზები“ საკუთარი ისტორიიდანაც კარგად ვიცით: 1772 წელს ასეთი „ხაზი“ რუსეთმა — დამპყრობელმა სახელმწიფომ დაგვიწესა, დღეს კი იგივე გამოცდილება მიიღო საქართველომაც.

2008 წელს პრეზიდენტმა ლეხ კაჩინსკიმ (პარტია „კანონი და სამართლიანობა“) მხარი დაუჭირა პოლონეთის ხელმძღვანელობის მისამართით გამოგზავნილ საქართველოსა და უკრაინის თხოვნას — არ ეღიარებინათ კოსოვოს დამოუკიდებლობა. კიევი და თბილისი შიშობდნენ, რომ კოსოვოს დამოუკიდებლად აღიარებით რუსები ისარგებლებდნენ. ისინი მართლები იყვნენ, მაგრამ რადგანაც იმ დროს პოლონეთის მთავრობა პარტია „სამოქალაქო პლატფორმისა“ და გლეხთა პარტიის მიერ იყო შექმნილი, ამიტომ თბილისისა და კიევის თხოვნა იგნორირებული იქნა. საერთოდ, პოლონეთის პოზიცია კოსოვოს სტატუსზე გავლენას მაინც ვერ მოახდენდა, მაგრამ ეს ერთგვარი ჭეშმარიტების მომენტი იყო — რამდენად მზად ვართ ჩვენ საქართველოსა და უკრაინასთან სოლიდარობისათვის, როცა ისინი ჩვენგან დახმარებასა და მხარდაჭერას ელოდებიან. პოლონეთის პრეზიდენტ ლეხ კაჩინსკის ეს ესმოდა, მაგრამ პრემიერ-მინისტრ დონალდ ტუსკს და საგარეო საქმეთა მინისტრს რადოსლავ სიკორსის კი არა. მართალია, დასავლეთის დიდი ქვეყნები პოლონეთზე ზეწოლას ახდენდნენ, მაგრამ შეიძლებოდა წინააღმდეგობის გაწევა ისევე, როგორც ეს რუმინეთმა გააკეთა — პოლონეთის მოკავშირემ ნატოს, „ბუქარესტის ცხრიანისა“ და „სამი ზღვის ინიციატივის“ ჩარჩოებში.

## პოლონეთის კურსის ცვლილება

**2007 წელს პოლონეთში ხელისუფლება შეიცვალა, 2010 წელს კი პრეზიდენტი ლეხ კაჩინსკი ავიაკატასტროფაში დაიღუპა. შესაბამისად, პოლონეთის პოლიტიკაში საქართველოს მნიშვნელობა შემცირდა. ვარშავაში ბარაკ ობამას ვიზიტის დროს (2011 წლის 27-28 მაისი) მის შეხვედრაზე აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების ლიდერებთან თბილისის წარმომადგენელი არ მიუწვევიათ.**

პოლონეთის პოლიტიკის ქართული მიმართულება წინა მთავრობის დროს ევროპული სიბრტყით შემოიფარგლებოდა: ჩვენ უარი ვთქვით ორმხრივ სასარგებლო ინიციატივებზე და ველოდებოდით, თუ რა ნაბიჯებს გადადგამს ბრიუსელი. ბრიუსელმა კი საქართველო 2008 წლის ომის გაჩაღებაში დაადანაშაულა. იმიტომ, რომ იმ დროს გერმანია და საფრანგეთი რუსეთთან ერთად „პარტნიორობა მოდერნიზებისათვის“ პროექტს ახორციელებდნენ. გარდატეხა უკრაინის მაიდნის ფონზე მოხდა: საქართველომ „აღმოსავლეთის პარტნიორობის“ სამიტზე ვილნიუსში (2013 წლის 28-29 ნოემბერი) ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმების პარაფირება მოახდინა, ხოლო 2014 წლის 25 ივნისს მას ბრიუსელმა ხელი მოაწერა.

## კოსოვო და აფხაზეთ-სამხრეთ ოსეთი: არასწორი შედარება

**რუსეთი ცდილობს, დაამტკიცოს, რომ სამხრეთ ოსეთის ირგვლივ შექმნილი სიტუაცია კოსოვოს სიტუაციის იდენტურიაო, მაგრამ ეს ასე არ არის.**

კოსოვური სეპარატიზმის ჩასახვის უკან დასავლეთი არ მდგარა, ხოლო 1999 წლამდე კოსოვოს მოსახლეობის 90%-ს ალბანელები შეადგენდნენ. ისინი ათი წლის განმავლობაში იბრძოდნენ სამოქალაქო უფლებებისა და ავტონომიის აღსადგენად, რომელიც მათ სერბეთის პრეზიდენტმა სლობოდან მილოშევიჩმა გაუუქმა. მხარე, რომელიც უარს ამბობდა მოლაპარაკებაზე, სწორედ სერბეთი იყო. სწორედ სერბებმა დაიწყეს ეთნიკური წმენდა, რამაც საბოლოო ჯამში დასავლეთი აიძულა, კოსოვოს საქმეებში ჩარეულიყო. გარდა ამისა, დასავლეთს კარგად ახსოვდა სლოვენიის, ხორვატიისა და ბოსნია-ჰერცოგოვინის ომების მძიმე შედეგები. კოსოვოში კონფლიქტის ესკალაციის ფაზა მაშინ დაიწყო, როცა ალბანეთში განვითარებული კრიზისის შედეგად ალბანური არმიის საწყობებიდან დიდძალი იარაღი კოსოვოში მოხვდა.

საქართველოში კი სრულიად სხვა სიტუაცია იყო. იქ 1990-იანი წლების დასაწყისში ომის შემდეგ აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში მომხდარი ეთნიკური წმენდის მსხვერპლი ქართველები აღმოჩნდნენ, თანაც სეპარატისტებს მხარს რუსეთი უჭერდა. კოსოვოს ხელმძღვანელებიდან არავინ არ ყოფილა „ცეეერუ“-ს ან რომელიმე უცხოური სპეცსამსახურის წევრი (სამხრეთ ოსეთის ხელისუფლებაში კი ბევრი რუსი იყო, რომლებიც ადრე რუსეთის სახელმწიფო სტრუქტურებში მუშაობდნენ). კოსოვოს ალბანური მოსახლეობისათვის არავის არ დაურიგებია ამერიკული პასპორტები, შესაბამისად, ვერავინ იტყოდა, რომ დასავლეთი (აშშ) თავის მოქალაქეებს იცავს. მოსკოვმა კი ადგილობრივ ოსებს რუსული პასპორტები დაურიგა. თბილისში თავის არსებობას განაგრძობს სამხრეთ ოსეთის დევნილი ხელისუფლება, სერბეთში კი კოსოვოს დევნილი ხელისუფლება არ არის. ცხინვალის რეგიონი ფაქტიურად ხელოვნური „სახელმწიფოებრივი“ წარმონაქმნია: ეთნიკური წმენდის შემდეგ იქ მხოლოდ 35 ათასამდე ოსი დარჩა, ანუ იმდენი მოსახლეობა, რამდენიც პოლონეთის ერთ პატარა ოლქში ცხოვრობს.

* * *

**საქართველო, რომელიც თურქეთს, ირანსა და რუსეთს, შავ და კასპიის ზღვებს შორის მდებარეობს, კავკასიის რეგიონის გეოპოლიტიკურ ღერძს წარმოადგენს. ქართველ ხალხს აქვს ძლიერი ეროვნული თვითშეგნება და მრავალვექტორული კულტურა.** ეს ქვეყანა ლაკმუსის ქაღალდივით აჩვენებს, თუ რამდენად აგრესიულია რუსული იმპერიალიზმი. პოლონეთმა და „სამ ზღვას“ შორის მდებარე ქვეყნებმა ყველაფერი უნდა გააკეთონ, რომ რუსეთმა საქართველოსთან მიმართებით რაიმე ახალ წარმატებას არ მიაღწიოს.

**„GAZETA POLSKA“**
**(პოლონეთი)**

# პეტრო პოროშენკო: რუსეთი კლავს, ანგრევს, რუსეთი იტყუება, როდესაც ამბობს, რომ უკრაინა, ისევე როგორც საქართველო, თავის თავს თვითონ დაესხა

— ამის შესახებ უკრაინის პრეზიდენტმა პეტრო პოროშენკომ გაეროს გენერალური ასამბლეის 73-ე სესიაზე სიტყვით გამოსვლისას განაცხადა.

**„უკრაინამ სუვერენული გადაწყვეტილება მიიღო, რომელიც დემოკრატიულ ღირებულებებსა და წესებს ეფუძნება. რუსეთი უკრაინას ზუსტად ამის გამო სჯის. რუსეთი კლავს. რუსეთი სახლებს ანგრევს. რუსეთი იტყუება. რუსეთი იტყუება, როდესაც ამბობს, რომ უკრაინა, ისევე როგორც საქართველო „თავის თავს თვითონ დაესხა“,** — განაცხადა პეტრო პოროშენკომ.

მისივე თქმით, „გაერო ჩუმად არ უნდა იყოს, როდესაც გაეროს წესდებაში არსებული ღირებულებები და პრინციპები ირღვევა იმ ქვეყნის მიერ, რომელსაც ვეტოს უფლება აქვს“.

**„არაფერი გააჩერებს მოსკოვს თავისი აგრესიული, ექსპანსიური პოლიტიკისგან თუ მის წინააღმდეგ ერთიანი ფრონტით არ გამოვა საერთაშორისო თანამეგობრობა, თუ სასჯელი გარდაუვალი არ გახდება. შესაბამისი სასჯელის არარსებობამ გამოიწვია ის, რომ საქართველოს შემდეგ უკრაინის ჯერი დადგა, ლიტვინენკოს შემდეგ სკრიპალის, ხოლო ალეპოს შემდეგ იდლიბის“,** — განაცხადა უკრაინის პრეზიდენტმა.

## აშშ მზად არის, პუტინის უახლოეს გარემოცვას სანქციები დაუწესოს

**ამერიკის პრეზიდენტის ადმინისტრაცია რუსეთის პრეზიდენტის ვლადიმირ პუტინის გარემოცვას სანქციებს დაუწესებს, თუ რუსეთი „მტრულ ქმედებას“ არ შეწყვეტს.**

ამის შესახებ ამერიკის საფინანსო უწყების ხელმძღვანელის თანაშემწემ მარშალ ბილინგსლიმ კონგრესის წარმომადგენლობით პალატაში განაცხადა.

რუსეთის ქმედებას მან „მიუღებელი“ უწოდა, რომელზეც პასუხისმგებლობა პუტინის უახლოეს გარემოცვას უნდა დაეკისროს.

**„ის ფაქტი, რომ ამერიკის პრეზიდენტის ადმინისტრაცია სერიოზულად არის განწყობილი, მეტყველებს ისიც, რომ პუტინთან დაახლოებულ ოლიგარქებს ოლეგ დერიპასკას და ვიქტორ ბექსელბერგს სანქციები დაუწესეს, რომლებმაც კაპიტალის მნიშვნელოვანი ნაწილი დაკარგეს“,** — აღნიშნა ბილინგსლიმ.

ამასთან, როგორც სააგენტო Bloomberg-ი წერს რუსეთის წინააღმდეგ დაწესებული სანქციები, ასევე „თეთრი სახლის და კონგრესის არაპროგნოზირებადობა“ რუს მეწარმეებს კაპიტალის რეპატრიაციისკენ უბიძგებს. რუსი ბიზნესმენები თანხებს რუსულ ბანკებში აბანდებენ და ოფშორებში არსებული თანხების ბალანსს ცვლიან.

# GFCM-მა ორი ერთეული ტრანსპონდერი უსასყიდლოდ გადმოგვცა

**შავ ზღვაზე თევზჭერის ელექტრონული მონიტორინგის სისტემის პარამეტრების ევროპის სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით, ხმელთაშუა ზღვის თევზჭერის გენერალურმა კომისიამ, ურთიერთთანამშრომლობის შესახებ შეთანხმების წერილის (LOA) ფარგლებში, საქართველოს ორი ერთეული ელექტრონული სიგნალების გადამცემი ხელსაწყო ე.წ. „ტრანსპონდერი“ უსასყიდლოდ გადასცა.**

მოსამზადებელი შეხვედრა გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტში გაიმართა, სადაც GFCM-ის წარმომადგენლებმა დეპარტამენტის ინსპექტორებს, გემებზე დასამონტაჟებელი მოწყობილობების ტექნიკური პარამეტრები გააცნეს და საქართველოში არსებულ ელექტრონული მონიტორინგის სისტემასთან, ამ მოწყობილობების თავსებადობის საკითხები განიხილეს. ე.წ. „ტრანსპონდერები“ ორ გემზე დამონტაჟდა და ტესტურ რეჟიმში გაეშვა.

შავ ზღვაზე თევზჭერის კონტროლისა და მონიტორინგის მიზნით, თევზჭერის ლიცენზიის მფლობელებს გემებზე ელექტრონული მონიტორინგის სისტემის დამონტაჟება 2017 წლის პირველი ოქტომბრიდან დაევალათ.

# გზა, რომელსაც სკოლამდე რითულად მივყავხარ!

**საგზაო უსაფრთხოების თემაზე ჩატარებული არაერთი შეხვედრის, დისკუსიის, ღონისძიების და სამოქმედო გეგმის მიუხედავად, საქართველოში გამოწვევად რჩება როგორც ავტოსაგზაო შემთხვევების მაღალი მაჩვენებელი, ასევე მათი მსხვერპლის დიდი რაოდენობა. მხოლოდ 2018 წლის პირველ ექვს თვეში 16 144 ავტოსაგზაო შემთხვევაა დაფიქსირებული. ავტოსაგზაო შემთხვევების შედეგად ამავე პერიოდში დაიღუპა 229 და დაშავდა 4 389 ადამიანი.**

საგზაო უსაფრთხოება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მოწყვლადი ჯგუფებისთვის: ბავშვების, მოხუცებისა და განსაკუთრებული საჭიროების მქონე პირებისთვის. კარგად გამართული საგზაო ინფრასტრუქტურა უნდა იცავდეთ მათ უბედური შემთხვევების რისკისგან.

**რამდენად უსაფრთხოდ შეუძლია გადაადგილება ბავშვს, მაგალითად, სახლიდან სკოლამდე?**

ბავშვების უსაფრთხო გადაადგილებისთვის საჭიროა არსებობდეს ტროტუარი, ზებრა გადასასვლელი, შუქნიშანი და სხვადასხვა გაფრთხილების შემცველი საგზაო ნიშნები.

თბილისის სხვადასხვა უბნებში სიარულისას აღმოჩნდა, რომ სკოლებთან ფეხით მისვლა სულაც არ არის უსაფრთხო. სკოლების უმეტესობასთან არ არის საბავშვო დაწესებულების აღმნიშვნელი საგზაო ნიშანი, რიგ შემთხვევებში ვერ ხვდებით შუქნიშანს, ზებრას და სკოლამდე მისასვლელ ტროტუარსაც კი. ხშირია შემთხვევები, როდესაც სკოლის წინა სივრცე მთლიანად მანქანებს აქვთ დაკავებული და იქ მცირეწლოვანი ბავშვის მარტო გადაადგილება საშიშია.

**საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების კანონის მიხედვით ქვეითმა უნდა იაროს ტროტუარსა და ქვეითთა ბილიკზე, ბავშვებმა მხოლოდ ტროტუარსა და ქვეითთა ბილიკზე, ხოლო თუ ისინი არ არის — გვერდულაზე, ისიც დღისით, გამცილებლის თანხლებით. ამავე კანონის მიხედვით ტროტუარი არის გზის ელემენტი, რომელიც განკუთვნილია ქვეითისთვის და საბავშვო დაწესებულებასთან ახლოს უნდა იყოს გამაფრთხილებელი ნიშანი, რომ შეამცირონ სიჩქარე და ამ მონაკვეთზე შეესაძლოა, მოძრაობდნენ ბავშვები.**

**„უსაფრთხო სკოლის სტრატეგიაში“** აღნიშნულია, რომ საქართველოში სკოლების უმეტესობა გზასთან ახლოს მდებარეობს და აქედან გამომდინარე, აუცილებელია არსებობდეს საგზაო ნიშნები და იმგვარი ბარიერები სასწავლო დაწესებულებებთან, რომელიც ხელს შეუშლის მოსწავლეებს ქუჩაში გადარბენაში.



**შინაგან საქმეთა სამინისტროს მონაცემების მიხედვით,** მხოლოდ 2018 წელს ავტოსაგზაო შემთხვევებისას დაიღუპა 12 და დაშავდა 460 ბავშვი, რომელთაგან 3 დაღუპული და 171 დაშავებული ქვეითი იყო.

2018 წელს გამოქვეყნებული **აუდიტის სამსახურის დასკვნა,** რომელიც საგზაო უსაფრთხოების უზრუნველყოფის პრევენციული ღონისძიებების ეფექტურობას აფასებს, აჩვენებს, რომ არაეფექტურია გადაწყვეტილების მიმღები პირების ქმედებები მოქალაქეების მოთხოვნაზე, როცა საქმე გზებზე უსაფრთხოების ინფრასტრუქტურის მოწესრიგებას შეეხება. ამ დასკვნის მიხედვით, მოქალაქეების მოთხოვნებს შუქნიშნის განთავსებისა და საგზაო მონიშვნების დახაზვის შესახებ, 2016 წელს მერია 386 დღეში აკმაყოფილებდა, 2017 წელს კი 112 დღეში. დროის ასეთი ხანგრძლივი მონაკვეთი საშიშ ზონებში ავტოსაგზაო შემთხვევების რისკს ზრდის.

**აუდიტის სამსახურის ანგარიშის დასკვნაში ვკითხულობთ, რომ „თბილისის მასშტაბით საგზაო მონიშვნები, გზებზე დახაზული სავალი ზოლის სიგანე და დაშვებული სიჩქარის ლიმიტი არ არის თანხვედრაში კარგი პრაქტიკით გათვალისწინებულ სტანდარტებთან. გზების არსებული დიზაინი და საგზაო ინფრასტრუქტურა (ტროტუარი, პანდუსი, ქვეითთა გადასასვლელი) ხშირ შემთხვევაში არ ქმნის უსაფრთხო მოძრაობის წინაპირობას მოქალაქეებისთვის და ქმნის დამატებით რისკებს საგზაო უსაფრთხოების მხრივ“**

**ნასტასია არაბული,**
**ნუგზარ ფანქველაშვილი,**
**მერაბ ნადირაშვილი.**

# შეწყალების კომისიაში ვანო მერაბიშვილის შეწყალების საქმე არ განიხილება

**შეწყალების** კომისიაში ამ ეტაპზე ყოფილი პრემიერ-მინისტრის ვანო მერაბიშვილის შეწყალებასთან დაკავშირებით, განცხადება არ შესულა, შესაბამისად, კომისიას მისი საქმე არ განუხილავს.

ამის შესახებ შეწყალების კომისიის თამჯდომარემ ზვიად ქორიძემ პრეზიდენტის ადმინისტრაციაში ჟურნალისტებს განუცხადა.

ზვიად ქორიძის თქმით, პრეზიდენტმა სულ 111 პატიმარი შეიწყალა, მათგან 42 პატიმარი საპატიმროს დღესვე დატოვებს. პრეზიდენტმა არ შეიწყალა დეკანოზი გიორგი მამალაძე.

ვანო მერაბიშვილის ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესების გამო ოპოზიცია მის შეწყალებას ითხოვს.

# განცხადება

## „ტვაიტსის“ მარკის მინი თვითმცლელი „დამპერის“ იჯარით გაცემის თაობაზე აუქციონის ჩატარების შესახებ

შპს „ენგურჰესის“ (იურიდიული მისამართი ქ. თბილისი, პოლიტკოვსკაიას ქ. #8 III სართული ფაქტიური მდებარეობა აფხაზეთი, გალის რ-ნი დას. საბერიო) ბალანსზე რიცხული მოწყობილობების (დანადგარების) იჯარით გაცემის მიზნით აცხადებს აუქციონს:

1. მინი თვითმცლელი „დამპერი“ – 1 (ერთი) ც. საწყისი საბალანსო ღირებულება 40288 ლარი, ნარჩენი - 0.

იჯარის ხანგრძლივობის ვადა -1 (ერთი) თვე საიჯარო თანხა თვეში 600 (ექვსასი) ლარი დღგ-ს ჩათვლით;

წინასწარი შენატანი „ბე“-240 (ორას ორმოცი) ლარი;

სავაჭრო ბიჯი 50 (ორმოცდაათი) ლარი;

მონაწილის ბილეთის საფასური -10 (ათი) ლარი

მეიჯარემ მექანიზმს უნდა ჩაუტაროს შესაკეთებელი სამუშაო და მოიყვანოს მუშა მდგომარეობაში;

აუქციონის მონაწილის ბილეთის ღირებულებას აუქციონში მონაწილეობის მსურველი იხდის შპს „ენგურჰესის“ საბანკო ანგარიშზე. აუქციონში მონაწილეობის მსურველი განაცხადთან და „ბე“-ს გადახდის დამადასტურებელ დოკუმენტთან ერთად რეგისტრატორს წარუდგენს აუქციონში მონაწილის ბილეთის ღირებულების გადახდის დამადასტურებელ დოკუმენტს, რის შემდეგაც ტარდება რეგისტრაციაში და იღებს აუქციონში მონაწილის ბილეთს. აუქციონში მონაწილის ბილეთის ღირებულება არ შედის სარეალიზაციო ღირებულებაში და გამოქვითვას არ ექვემდებარება.

თანხის (ბე“-ს აუქციონში მონაწილის ბილეთის საფასურის) გადახდის საბანკო მიმღები: **შპს „ენგურჰესი“ ს/კ 251716371; სს „ბანკი ჯორჯია“**

**ბანკის კოდი UGEBGE22;**

**ანგარიშის ნომერი GE97VT6600000003403403.**

განცხადების მიღების ადგილია ქ. ზუგდიდი რუსთაველის #90 მეორე სართული, შპს „ენგურჰესის“ ოფისი. განაცხადების მიღების ვადაა 2018 წლის 26 სექტემბრის 10-სთ-დან 2018 წლის 5 ოქტომბრის 13-სთ-მდე, ყოველდღე სამუშაო საათებში.

აუქციონი ჩატარდება 2018 წლის 5 ოქტომბერს 14 საათზე, მითითებულ მისამართზე.

აუქციონსი მონაწილეობა შეუძლიათ საქართველოს ან უცხო ქვეყნის ფიზიკურ და იურიდიულ პირებს.

აუქციონში გამარჯვებული ვალდებულია აუქციონის ჩატარებიდან „სახელმწიფო ქონების პრივატიზების შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრულ ვადაში გააფორმოს შპს „ენგურჰესთან“ შესაბამისი ხელშეკრულება აუქციონის შედეგების ოქმის დამტკიცების მომენტიდან, 10 კალენდარული დღის განმავლობაში, დაფაროს მის მიერ აუქციონზე დასახელებული ქონების ერთი თვის საიჯარო თანხა, წინააღმდეგ შემთხვევაში, აუქციონის შედეგები გაუქმდება, მყიდველს არ მიეცემა სარგებლობის უფლება და „ბე“-ს შენატანი არ დაბრუნდება.

აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრატორს უნდა წარედგინოს შემდეგი დოკუმენტები:

-დამტკიცებული ფორმის მიხედვით შევსებული განაცხადი, (შეგიძლიათ მიიღოთ ქ. ზუგდიდი, რუსთაველის ქ. 90, მეორე სართული შპს „ენგურჰესის“ ოფისი);

- „ბე“-ს გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი;

- აუქციონში მონაწილეობის ბილეთის საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი; ფიზიკური პირის შემთხვევაში პირადობის მოწმობის ან პასპორტის ასლი;

იურიდიული პირისთვის -ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან;

-სანოტარო წესით დამოწმებული მინდობილობა, თუ აუქციონში მონაწილეობს სხვა პირის სახელით.

სააუქციონო კომისიის ზონარგაყრილ დავთარში განაცხადის რეგისტრაციის მომენტიდან, განმცხადებელი იძენს აუქციონში მონაწილის სტატუსს. აუქციონში გამარჯვების გამოვლენის კრიტერიუმია საწყისი საიჯარო ფასზე ბიჯის დანამატის შედეგად მაქსიმალური ფასის გადახდა. ქონების, აუქციონის წესით იჯარით გაცემის შესახებ დამატებითი ინფორმაციის მიღება შესაძლებელია მისამართზე: ქ. ზუგდიდი, რუსთაველის ქ. 90, მეორე სართული შპს „ენგურჰესის“ ოფისი, ტელ. 595-227050

**შპს ენგურჰესის აუქციონის მომწყობი კომისია**

◎ ჭადრაკი

# ისევ – ქალები

**ბათუმში მიმდინარე მსოფლიოს საჭადრაკო ოლიმპიადაზე მე-3 ტურის შეხვედრები გაიმართა. საქართველოს ვაჟთა მეორე ნაკრებმა რუსეთის უძლიერეს გუნდს მედგარი წინააღმდეგობა გაუწია, მაგრამ მინიმალური ანგარიშით მარცხს მაინც ვერ ასცდა, ქალთა პირველმა ნაკრებმა კი საფრანგეთს მოუგო და 6 ქულით ლიდერთა შორისაა.**

**ქალები**

**საფრანგეთი-საქართველო (1)** 1.5:2.5 (მარი სებაგი – ნანა ძაგნიძე 0.5:0.5, ელმირა სკრიპჩენკო – ნინო ბაციაშვილი 0:1, პაულინა გუიზარდი – ბელა ხოტენაშვილი 0.5:0.5, სოფი მილე – მერი არაბიძე 0.5:0.5); **საქართველო (2) – ესპანეთი** 2:2 (სალომე მელია – საბრინა ვეგა გუტიერესი 1:0, ინგა ჭარხალაშვილი – მარტა გარსია მარტინი 0.5:0.5, სოფიო გვეტაძე – ანა მათნაძე 0:1, სოფიკო ხუხაშვილი– მონიკა კალზეტა რუისი 0.5:0.5); **საქართველო (3)-ბრაზილია** 3.5:0.5 (ნინო ხომერიკი – საუმი ტერაო 1:0, ლილე ქორიძეჯულია ალბორედო 0.5:0.5, თამარ ესაძე-ქეით ლიბრელატო 1:0, დიანა ლომაია-ანა ვიტორია დე პაულა როდენბარტი 1:0)... **სერბეთი-ინდოეთი** 2:2, **ლიეტუვა-ვიეტნამი** 0.5:3.5, **კუბა-ჩინეთი** 0.5:3.5, **საბერძნეთი-სომხეთი** 0.5:3.5, **ინგლისი-აზერბაიჯანი** 1:3, **რუმინეთი-უკრაინა** 1:3, **თურქეთი-პოლონეთი** 2:2.

**ვაჟები**

**საქართველო (1) – მონგოლეთი** 3:1(ბაადურ ჯობავა-სუმია ბილგუუმი 1:0, ივან ჩეპარინოვი – ნამხაი ბატულმა 1:0, ლევან ფანცულაია – გომბორუსენ მუნხგალი 0.5:0.5, დავით ჯოჯუა – ურტნასახ ნასანჯარგალი 0.5:0.5); **საქართველო (2) – რუსეთი** 1.5:2.5 (ლუკა პაიჭაძე – სერგეი კარიაკინი 0.5:0.5, თორნიკე სანიკიძეიან ნეპომნიაშჩი 0.5:0.5, ირაკლი ბერაძე – ვლადიმირ კრამნიკი 0:1, გიგა ყუფარაძე – ნიკიტა ვიტიუგოვი 0.5:0.5); **ნიკარაგუა – საქართველო (3)** 0.5:3.5 (რენე ლაკაიო – ნოე თუთისანი 0:1, უილიან ალფარო – ლუკა ობოლაძე 0:1, ხორდე პიკადო – ნიკოლოზ პეტრიაშვილი 0.5:0.5, ხოსე ესპინოზა – გიორგი სიბაშვილი 0:1)... **საფრანგეთი – ალჟირი** 3.5:0.5, **პორტუგალია – პოლონეთი** 1.5:2.5, **ჰოლანდია – აშშ** 1:3, **პერუ – ჩინეთი** 1:3, **აზერბაიჯანი – სლოვენია** 3.5:0.5, **უკრაინა – რუმინეთი** 2.5:1.5, **სომხეთი – თურქეთი** 2.5:1.5, **კანადა – ინდოეთი** 0.5:3.5.

**ლექსო ციწცაძე**

◎ ჭიდაობა

# მედლები ლიბანიდან

**ლიბანის დედაქალაქ ბეირუთში ჭიდაობის მსოფლიო გაერთიანების (UWW) ეგიდით საერთაშორისო ტურნირი გაიმართა, რომელშიც 10 ქვეყნის ნაკრებმა მიიღო მონაწილეობა.**

საქართველოს ჭიდაობის ფედერაციის პრეს-სამსახურის ცნობით, ბესიკ გუჩაშვილის ხელმძღვანელობით მოასპარეზე საქართველოს გოგონათა ნაკრების წევრებმა აზიაში 2 ვერცხლის მედალი მოიპოვეს.

უფროსთა ტურნირზე ვიცე-ჩემპიონის ტიტულის მფლობელები თამუნა სამხარაძე (50 კგ.) და თეონა ჯანდაგაშვილი (60 კგ.) გახდნენ.

**მანუჩარ გიორგაძე**

◎ კალათბურთი

# სიახლე ნბა-ში

**ნაციონალური საკალათბურთო ასოციაციის 2018/19 წლების სეზონში ახალი წესი ამოქმედდება. აღნიშნულ ინფორმაციას ლიგის ოფიციალური ვებ-გვერდი ავრცელებს.**

წყაროს ცნობით, როდესაც გუნდი ბურთს შეტევაში მოხსნის, 24 წამის მაგივრად 14 წამი ჩაირთვება.

ნბა-ს ახალი სეზონი 16 ოქტომბერს დაიწყება.

**ვიტალი ჯაფარიძე**

◎ რაგბი ჩვენი თამაშია!

# 2 ქართველი – სიმბოლურში

**ქართველი მორაგბეები დავით ქუბრიაშვილი და ზურაბ ჟვანია გასული უქმეების შედეგებით სიმბოლურ ნაკრებებში მოხვდნენ.**

შეგახსენებთ, რომ საფრანგეთის ტოპ 14-ის მე-5 ტურში ქუბრიაშვილის „გრენობლმა“ „პერპინიანი“ 31:22 დაამარცხა, დუდუ კი სასტარტო შემადგენლობაში იყო და 59-ე წუთზე ბექა გიგაშვილმა შეცვალა.

გრენობლელთათვის ეს პირველი გამარჯვებაა და 6 ქულით ისინი ბოლოსწინა მე-13 ადგილზე იმყოფებიან, მომდევნო მატჩს კი ხვალ სტუმრად „ლიონთან“ ჩაატარებენ.

ინგლისურ პრემიერშიპში მოახერხა თავის გამოჩენა ზურაბ ჟვანიამ. მისმა „ვოსპსმა“ სტუმრად „სეილ შარქსს“ 31:13 სძლია, ქართველი პირველხაზელი კი სასტარტო რაზმში გამოჩნდა და მინდორზე 71 წუთი გაატარა.

„ვოსპს“ 4 ტურის თავზე 15 ქულით მე-3 პოზიცია უკავია, შემდეგი მატჩი კი დღეს ისევ სტუმრად „ნიუკასლ ფალკონზთან“ ელის.

**კობა კობახიძე**

# საფეხბურთო მოზაიკა

**ჯანო ანანიძე დაბრუნდა. დაბრუნდა ზუსტად ექვსი თვის შემდეგ. დიახ, ანანიძემ, რომელმაც ვარჯიში აქამდეც დაიწყო, პირველი ოფიციალური თამაში ჩაატარა მიმდინარე წლის მარტის შემდეგ.**

მოსკოვის „სპარტაკმა“ რუსეთის თასის 1/16 ფინალში ნოვოროსიისკის „ჩერნომორეცი“ სტუმრად ზე ლუიშის გოლით დაამარცხა და შემდეგ ეტაპზე გავიდა.

6 თვის შემდეგ 6 წუთში ჯანო ულამაზესი გოლით დაბრუნებასთან ახლოს იყო.

რაც შეეხება ჩვენებურს – ჯანო მოედანზე 83-ე წუთზე გამოჩნდა და თავის გამოჩენაც შეეძლო. 89-ე წუთზე მისი სახიფათო დარტყმა მასპინძელთა მეკარე შვაგირევმა ეფექტურ ნახტომში მოიგერია. თუმცა, ეს არაფერი, მთავარია ანანიძე მინდორს დაუბრუნდა და ეს უდავოდ პოზიტიური ცნობაა საქართველოს ნაკრებისთვის, რომელსაც ოქტომბერში ერთა ლიგის ორი მნიშვნელოვანი თამაში ელოდება.

შეგახსენებთ, რომ ჯანო ანანიძე მარტის თვეში საქართველოსა და ლიეტუვას ამხანაგური მატჩისას მძიმედ დაშავდა და მას შემდეგ ლაზარეთში იყო.

* * *

**ახლო წარსულში ცნობილი იტალიელი ფეხბურთელი ჯანფრანკო ძოლა ლონდონის „ჩელსიში“ მაურიციო სარის ასისტენტად მუშაობს. იგი აღფრთოვანებულია თანამემამულესთან თანამშრომლობით და ამბობს, რომ ფეხბურთზე წარმოდგენა შეეცვალა.**

„მაურიციომ ჩემთვის ახალი სამყარო გახსნა. აქამდე ვფიქრობდი, რომ ფეხბურთში ბევრი რამ ვიცოდი, მაგრამ ვცდებოდი, რადგან შევხვდი სარის და ყველაფერი ნათელი გახდა.

სიამოვნებით ვითამაშებდი მის გუნდში, რადგან სტატისტიკას თუ შევხედავთ, დროის უმეტეს ნაწილს მეტოქის ნახევარზე ვატარებთ და ბურთთან ბევრი კონტაქტი გვაქვს, განსაკუთრებით – თავდამსხმელებს, ჩემი სტილის შემტევისთვის კი ასეთი ფეხბურთი ძალიან სასარგებლო და სასიამოვნოა“, – განაცხადა ძოლამ.

შეგახსენებთ, რომ „ჩელსის“ პრემიერლიგის საწყის 6 ტურში 16 ქულა აქვს მოპოვებული, ხოლო ევროპა ლიგის პირველ ტურში პაოკ-ს სტუმრად მოუგო.

* * *

**ჟოზე მოურინიოსა და პოლ პოგბას შორის დიდი ხანია შავმა კატამ გაირბინა, მაგრამ ბოლო დღეებში ყველაფერმა პიკს მიაღწია. ჯერ იყო და ფრანგმა მწვრთნელი საჯაროდ გააკრიტიკა სათამაშო სტილის გამო, რაზეც ჟოზეს პასუხსაც არ დაუყოვნია – ვიცე-კაპიტნობა ჩამოართვა.**

მართალია, პორტუგალიელმა კონფლიქტი უარყო და გადაწყვეტილების ახსნა მედიასთან არ ისურვა, მაგრამ ნათელია, რომ ოსტატსა და შეგირდს შორის წყალი უკვე აიმღვრა.

ეს გუშინ გავრცელებულმა კადრებმაც დაადასტურა, რომელიც „მანჩესტერის“ ვარჯიშის დროსაა გადაღებული. პოგბა მოურინიოს გაკვირვებული და გაბრაზებული კარგა ხანს უყურებს, თითქოს, რაღაცაში არ ეთანხმება...

**გიორგი შოთაძე**

ეპიტაფია

# მარადისობის მკვიდრი

## სოსო მიქაძის ცად ამანძილებიდან 40 დღე გავიდა



„კვდომა ბუნების წესია“, — უთქვამს დიდ გალაკტიონს, თითქოს უნდა შეეჩვიოს, შეეგუოს ადამიანი სამყაროს ამ კანონს, მაგრამ ძალიან ძნელი ყოფილა უახლოესი ადამიანის წასვლა მარადიულ სასუფეველში. ჩვენი არსება კარგავს უზარმაზარს, შეუვსებელს, დაუბრუნებელს.

ოთხ ათეულ წელზე მეტი ვიცხოვრეთ ერთად, ერთი ბინა გვქონდა, ერთი ფიქრი, ერთი წუხილი, ერთი ღიმილი... ჩვენს საარსებო სივრცეში ორნი მივაბიჯებდით, მე — ძლიერიც და ქალურად სუსტიც, შენ — ოჯახის ბურჯი, კედელი, ჭიგო... იმედის მომცემი იყო შენი თუნდაც ერთი სიტყვა, გამამხნევებელი, ერთად ვებრძოდით ცხოვრების ტკივილს, ერთად ვიმარჯვებდით და ერთად ვმარცხდებოდით, მაგრამ არ გვეშინოდა, რადგან ორნი ვიყავით!

ახლა კი თითქოს ბნელ გვირაბში აღმოვჩნდი, სინათლეს ვეღარ ვხედავ, შენთან ერთად სახლიდან გაიკრიფნენ ღიმილისფერი დღეები. ასე მგონია, დავობლდი, დავრჩი მარტო, მაშინებს ჩემივე სისუსტე, თურმე ძლიერი შენით ვყოფილვარ. უამრავი კითხვა მაქვს, ვერ ვცემ პასუხს შენ გარეშე, შენეული დარიგება და სიბრძნე მჭირდება.

რამდენჯერ გაგიჭირდა, საფრთხე დაემუქრა შენს ჯანმრთელობას, ბევრი ვიბრძოლეთ, შეუძლებელი შევძელით, ერთად დავძლიეთ მრავალი განსაცდელი.

სამწუხაროდ, ყველაფერი წამებში მოხდა, მოულოდნელად აიმანძილე საამქვეყნო ბილიკებიდან. ასე გვგონია, შენც ვერ იგრძენი სიცოცხლის დასასრული. იქნებ ამასაც ბედი ჰქვია სიკვდილში.

ორმოცი დღე გავიდა... ჩვენთვის ძალიან მძიმე დღეები, სულ შენი მოსვლის მოლოდინი გვაქვს. შენი სიკვდილის თითქმის არავის სჯერა. უდიდეს სიყვარულს ატარებდი, მზრუნველი და გვერდით მდგომი იყავი ყველას მიმართ. თაობებმა გაიარა შენს ხელში, ნახევარ საუკუნეზე მეტი შენი ცხოვრება დაკავშირებული იყო მოსწავლეთა სასახლესთან. იქ 18 წლის ასაკში შეაბიჯე და სიცოცხლის ბოლო წუთამდე მისი ცხოვრებით არსებობდი. მართალია, მრავალ ადგილზე გიხდებოდა სხვადასხვა პოზიციაზე ყოფნა, მაგრამ მაინც სასახლეში ბრუნდებოდი, რადგან იქ შენი მეორე ოჯახი იყო, ამიტომაც განიცადეს ძალიან და შენს წასვლას სხვადასხვა რეგიონიდან უსამძიმრებდნენ მათ.

გასაოცარია, როგორ იტევდა ერთი ადამიანი ამდენ სითბოსა და სიყვარულს. ბოლო წუთამდე ურთიერთობა ჰქონდა ყველასთან — ნათესავებთან, მეგობრებთან, თავის აღზრდილებთან, ამიტომაც დააკლდა ყველას, უამრავ ადამიანს. განსაკუთრებული ურთიერთობა ჰქონდა ბაღიდან მოყოლებულ მეგობართა წრესთან, მათ ოჯახებთან.

სოსოს იცნობდნენ ყველა რეგიონში, რადგან მაშინდელი ახალგაზრდული ორგანიზაციების ერთ-ერთი გამორჩეული ლიდერი იყო. ჰქონდა ადამიანებთან ურთიერთობის საოცარი ნიჭი, ბოლო პერიოდში დაუმეგობრდნენ მისი მკურნალი ექიმებიც.

სოსოს ყველაზე დიდი სიყვარული იყო მისი ერთადერთი შვილი ალექსანდრე და დედ-მამიშვილებიდან დარჩენილი და — ნანა, რომელიც მას მშობლიურ მზრუნველობას უწევდა.

„ყველა დიდ სოფელში წავაო!“, სოსოს სულიც მარადიულობის მკვიდრი გახდა.

უფალმა ნათელში ამყოფოს.

**მეუღლე იზო ბუხულეიშვილი, ოჯახი.**

# სააფთიაქო ნარკომანია: სად არის გამოსავალი?

**„სააფთიაქო ნარკომანია“, განსაკუთრებით მისი ტაბლეტური ფორმები რომ ქვეყანაში ერთ-ერთი მთავარი პრობლემაა, ამის შესახებ ჯანდაცვის მინისტრმა დავით სერგეენკომ 2017 წელს თავადვე განაცხადა.**

პერიოდულად გვესმის აფთიაქების დაკეტვისა და ფსიქოტროპული წამლების ურეცეპტოდ ვაჭრობაში ბრალდებულთა დაკავების შესახებ. მაგალითად, 24 სექტემბერს „საფთიაქო ნარკომანიის“ სფეროში ფსიქოტროპული საშუალებების უკანონო ბრუნვასთან დაკავშირებით სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტოს უფროსი **გია თვალავაძე** დააკავეს. გარდა ამისა, 6 მარტს პასუხისგებაში მისცეს ფარმაცევტული საქმიანობის დეპარტამენტის უფროსი დავით მაჭარაშვილი და ფსიქოტროპული მედიკამენტების იმპორტიორი ორი კომპანიის ხელმძღვანელი.

ჩვენ მხოლოდ და მხოლოდ ვამცირებთ მიწოდებას და ვხურავთ აფთიაქებს, ეს ადამიანები კი მუდმივად ეძებენ პრეპარატებს და ჩნდება შავი ბაზარი, ახალი აფთიაქები, ახლა უკვე პირადადაც მიაქვთ ფსიქოტროპული წამლები.

ეჭვმიტანილთა პერმანენტული დაკავებების, აფთიაქების დაკეტვის მიუხედავად, „სააფთიაქო ნარკომანია“ მაინც არსებობს და მომხმარებლები კვლავაც ეძებენ სასურველ დოზას. უცნობია ფსიქოტროპულ წამლებზე დამოკიდებულთა რაოდენობაც, რადგან ამ დროისთვის არ არსებობს შესაბამისი სტატისტიკა.

სად არის გამოსავალი?

ექიმი ნარკოლოგი **ზურაბ სიხარულიძე** განმარტავს, რომ სანამ არსებობს მოთხოვნა, შავი ბაზარიც იქნება. იგი ძირეული ცვლილებების მომხრეა. „ნულოვანი ტოლერანტობისა“ და მკაცრი ნარკოპოლიტიკის ფარგლებში შექმნილი პრობლემების მოგვარების ერთერთ გზას მომხმარებლების რეაბილიტაციაში, შესაბამისი ბაზის შექმნასა და კვალიფიციური ნარკოლოგების მომზადებაში ხედავს:

**„ჩვენ მხოლოდ და მხოლოდ ვამცირებთ მიწოდებას და ვხურავთ აფთიაქებს, ეს ადამიანები კი მუდმივად ეძებენ პრეპარატებს და ჩნდება შავი ბაზარი, ახალი აფთიაქები, ახლა უკვე პირადადაც მიაქვთ ფსიქოტროპული წამლები. საჭიროა, ამ ადამიანებს გავუწიოთ დახმარება და შევამციროთ მომხმარებელთა რაოდენობა. მათ სჭირდებათ სტაციონარული მკურნალობა, რაც ძვირია. მცირეა ცენტრების რაოდენობაც. განსაკუთრებით რთული ვითარებაა დასავლეთ საქართველოში, რადგან ძალიან დიდია ფსიქოაქტიურ ნივთიერებაზე დამოკიდებულთა რიცხვი, იქ კი არც ერთი სტაციონარი არ არის.**

**ჩვენ ვლაპარაკობთ „სააფთიაქო ნარკომანიაზე“ და გვავიწყდება, რომ ამ თემის უკან დგანან ადამიანები, რომელთაც დახმარება სჭირდებათ“.**

ჩვენ ყოველდღე ახალგაზრდებს ვკარგავთ. გავიხსენოთ თუნდაც ბოლო დროინდელი ტალღა. ნუთუ ეს არ არის ჩვენი ხელისუფლების საზრუნავი?!

სათემო ორგანიზაცია „ახალი ვექტორის“ ხელმძღვანელი კოკა ლაბარტყავა რადიო „თავისუფლების“ ეთერში **ნარკოპოლიტიკის ცვლილებაზე საუბრობს..** იგი ითხოვს ნარკომომხმარებლების მიმართ მიდგომის შეცვლას, დასჯის ნაცვლად ჰუმანურ ნარკოპოლიტიკას და ჯანდაცვის სერვისების შეთავაზებას:

**„ჩვენ ყოველდღე ახალგაზრდებს ვკარგავთ. გავიხსენოთ თუნდაც ბოლოდროინდელი ტალღა. ნუთუ ეს არ არის ჩვენი ხელისუფლების საზრუნავი?!**

**ნუთუ ისაა საზრუნავი, რომ კანაფის ექსპორტი და ლეგალიზაცია მოვახდინოთ და ამით გადაიჭრება ყველა პრობლემა?!**

**აჯობებს, ხელისუფლებამ დროულად მიხედოს რეალურად მისახედ საქმეს, საკანონმდებლო ორგანოში წარდგენილ ნარკოპოლიტიკის რეფორმას, თორემ, წინა ხელისუფლების მსგავსად, ისტორიის სანაგვეზე გადავარდება“.**

საქართველოს ჯანდაცვის მინისტრს დავით სერგეენკოს მედიასთან კომენტარი ამ დრომდე არ გაუკეთებია. სამინისტროს პოზიცია მხოლოდ პრესსპიკერის განცხადებიდანაა ცნობილი.

სოფო ჭუმბურიძე: **„სააფთიაქო ნარკომანია მნიშვნელოვანი გამოწვევაა ჩვენი ქვეყნისთვის. ამიტომ, საქართველოს მთავრობა კომპლექსურ ღონისძიებებს მიმართავს მის აღმოსაფხვრელად. ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს თანამშრომელს ბრალი წაეყენა სხვადასხვა აფთიაქიდან ფსიქოტროპული მედიკამენტების ურეცეპტოდ გაცემაზე არაეფექტურ სისტემურ რეაგირებაში. დიდი იმედი გვაქვს, გამოძიება სრულყოფილად და უმოკლეს ვადებში დაადგენს სრულ სურათს, რაც შესაძლებლობას მოგვცემს, საბოლოოდ დავამარცხოთ „სააფთიაქო ნარკომანია“.**

**ანი ბურდული**

# მეწარმეს საბავშვო ბაღებში კარაქის ნაცვლად იაფფასიანი სპრედი შეჰქონდა

**საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის თანამშრომლებმა, გატარებული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, ყალბი დოკუმენტების გამოყენებით, დიდი ოდენობით სახელმწიფო ქონების მოტყუებით დაუფლების ფაქტზე ერთი მეწარმე პასუხისგებაში მისცეს.**

დანაშაულში მხილებულ პირს, ერთ-ერთი ინდივიდუალური საწარმოს ხელმძღვანელს, 2018 წელს, სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონის ორ მუნიციპალიტეტში, სკოლამდელი აღზრდის გაერთიანებაში შემავალი საბავშვო ბაღებისთვის სხვადასხვა სახის პროდუქტი, მათ შორის კარაქი უნდა მიეწოდებინა. ბრალდებულმა, უკანონო მატერიალური სარგებლის მიღების მიზნით, გაყალბებული დოკუმენტებისა და კარაქის შესაფუთი მასალის გამოყენებით, საბავშვო ბაღებში კარაქის ნაცვლად იაფფასიანი სპრედი შეიტანა და მოტყუებით დაეუფლა სახელმწიფოს კუთვნილ დიდი ოდენობით თანხას.

# მოქალაქის ცემაში დადანაშაულებული ჭიათურის მერი თანამდებობიდან გადადგა

**ჭიათურის მერი პაატა ნადირაძე თანამდებობიდან გადადგა. ნადირაძე გადადგომის კონკრეტულ მიზეზებს არ ასახელებს და აცხადებს, რომ განცხადებას მომავალში გააკეთებს.**

არაოფიციალური ინფორმაციით, მერის გადადგომის მიზეზი ჭიათურის ერთ-ერთ რესტორანში მომხდარი ფაქტი გახდა. ივლისში, ერთ-ერთ რესტორანში ორი სუფრის წევრებს შორის ჩხუბი მოხდა, რომელშიც, გავრცელებული ინფორმაციით, ჭიათურის მოქმედი მერი პაატა ნადირაძე მონაწილეობდა. მას მოქალაქის ცემაში ადანაშაულებდნენ.

მომხდარზე შსს-მ გამოძიება ძალადობის, 126-ე მუხლით დაუწყო.

პაატა ნადირაძე ჭიათურის მერი 2017 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების შემდეგ გახდა, მანამდე ის იმერეთის პირველი ვიცე-გუბერნატორის თანამდებობას იკავებდა.

# ვულოცავთ 90 წლის იუბილეს!

## თურქეთის პრინცესა ირინა ჯემი - ეკატერინე გურამიშვილის შვილთაშვილი

**2004 წელს, აწ განსვენებულმა ბატონმა გიორგი ბაგრატიონ-მუხრანბატონმა გამაცნო თურქეთის პრინცესები, რომლებიც მასთან ერთად ჩამობრძანდნენ — მათი საიმპერატორო უმაღლესობები პრინცესა ირინა და მისი ქალიშვილი პრინცესა ნილუფერი. ისინი შვეიცარიაში ცხოვრობენ.**

მათ ეამაყებათ, რომ დიდი ილიას ცოლისდის ეკატერინე გურამიშვილის შთამომავლები არიან. ეკატერინეს მეუღლე, დიმიტრი სტაროსელსკი იყო მეფისნაცვლის მოადგილე და მთავარი სამმართველოს უფროსი სენატორიც. ის ღირსეულად ამოუდგა გვერდში ილიას ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების დაფუძნების საქმეში, რასაც თავიდან დიდი წინააღმდეგობა შეხვდა. იაკობ გოგებაშვილი დ. სტაროსელსკის შესახებ წერდა: **„უყვარს საქართველო, როგორც თავისი მეორე სამშობლო“**. 1884 წელს, დიმიტრის გარდაცვალებამ დიდად დაამწუხრა ქართველი საზოგადოება, რაც აკაკიმ ამ სიტყვებით გამოხატა: „ენით სხვას და გვარტომით გარეშეს ისე ვიგლოვთ, როგორც საკუთარ ძმას და თვისსა“. ილია წერილებში ეკატერინეს ასე მიმართავდა: **„საყვარელო დაო კატო“**. ეკატერინესა და დიმიტრის ვაჟის გივის შვილიშვილი, ირინა ივანეს ასული სტაროსელსკაია, ემიგრაციაში, საფრანგეთში დაიბადა. 1951 წელს ის ცოლად გაჰყვა ოსმალეთის იმპერიის სულთანთა შთამომავალს, პრინც ბურგანედდინ ჯემს, დედით თავდგირიძეთა შთამომავალს, რომელიც 4 წლის იყო, როდესაც თურქეთი დატოვა. პრინცესა ირინას ქრისტიანობისთვის არ უღალატია. 1953 წელს, როდესაც წყვილს ქალიშვილი, ნილუფერი შეეძინა, პრინცესა ირინამ ის მონტერეის წმ. სერაფიმეს ეკლესიაში მართლმადიდებლურად მოანათვლინა და თავისი დიდი ბებიის პატივსაცემად ეკატერინე დაარქვა.

მათი საიმპერატორო უმაღლესობები ირინა და ნილუფერი აწყობენ საქველმოქმედო აქციებს, გალა-სადილებს, რომელთა შემოსავალი ობოლ ბავშვებს ხმარდებათ. ავადმყოფი ბავშვის გადარჩენისთვის რომში მათ გადაეცათ მედალი „სიცოცხლისათვის“ (International Life Award 2000), რომლითაც დაჯილდოებული იყო დედა ტერეზა. საქართველოში მათ დიდი დახმარება გაუწიეს ადიგენის რაიონის სოფელ უდეს მონასტერს, სადაც ადგილობრივი მოსწავლეთათვის სასწავლებელი დაარსდა.

უკვე 15 წელია, რაც დედა-შვილთან მეგობრობა მაკავშირებს, არაერთხელ შევხვედრივართ საქართველოსა თუ უცხოეთში. 30 სექტემბერს მის საიმპერატორო უმაღლესობას, პრინცესა ირინას 90 წელი უსრულდება.

მინდა ჩემს უფროს მეგობარს, დიდი სიყვარულით მივულოცო იუბილე და კიდევ დიდხანს სიცოცხლე ვუსურვო!

**მანანა ხომერიკი**

**სურათზე: ცნობილი მსახიობი ჯინა ღოღობრიჯიდა და მისი საიმპერატორო უმაღლესობა, თურქეთის პრინცესა ირინა ჯემი საქველმოქმედო სადილზე.**

# 100 წლის გაზეთი

## თქვენს დახმარებას ითხოვს

დემოკრატიულ საქართველოსთან ერთად დაბადებულ, დღეს 100 წლის გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკას“ ფინანსურად უკიდურესად გაუჭირდა. სწორედ ამიტომ ითხოვს გაზეთი მამულიშვილთა უანგარო მხარში დგომას, ხელის გამართვას.

განათავსეთ რეკლამა ყველაზე საჭირო და სანდო გაზეთში და ამით ხელი შეუწყვეთ 100 წლის ყოველდღიური გამოცემის აღორძინებას.

ჩვენი ანგარიშია: №GE19TB7601536020100009. (შპს „ახალი საუკუნე“).



ქ. თბილისში მცხოვრები ფოთელების საზოგადოების გამგეობა დიდი პატივისცემით ულოცავს სახელოვან 85 წლის იუბილეს ქალაქ ფოთის დამსახურებულ მოღვაწეს, ათეულ წლებში ქალაქის ხელმძღვანელს და მთელი სიცოცხლის განმავლობაში ქალაქის დიდ პატრიოტს, ბატონ

## გერონტი კუხალეიშვილს

და უსურვებს ჯანმრთელობას, ოჯახურ ბედნიერებას, დიდ ენერგიას ქალაქის სასარგებლოდ.

**სპარტაკ გოგინავა, ჯიმი ქვარცხავა, ჯემალ კახიანი, მერაბ ზამბახიძე, გივი აბდუშელიშვილი, გულთაზ ლაბარტყავა, ლია წურწუმია, გია სვანიძე, ჯემალ კვირტია, იურა ალანია, ვახტანგ ჩიქოვანი, გოგი მელიქია, ზაურ პაჭკორია.**

# ტურისტები მერისის ხეობას ფოკლორის შესასწავლად სტუმრობენ

**აჭარის ტურიზმის დეპარტამენტის ტურისტული პროდუქტების განვითარების სააგენტო აგრძელებს მთიანი აჭარის ტურისტული მარშრუტების პოპულარიზაციას. ამჯერად, სააგენტოს ორგანიზებით გიდებმა ქედაში მერისის ტურისტულ მარშუტზე იმოგზაურეს. ინფოტურის მონაწილეებმა ყველა ის ტურისტული ღირსშესანიშნაობა, საოჯახო-სასტუმრო სახლი და ტურისტული სერვისი მოინახულეს, რისი ნახვაც ტურისტებს მერისში მოგზაურობისას შეუძლიათ.**



ულამაზესი მერისის ხეობა ბათუმიდან 50 კილომეტრში მდებარეობს და ის იდეალური ადგილია ბუნებაში დასვენების, აჭარული სოფლების, ტრადიციების გაცნობისა და ადგილობრივი კერძების დაგემოვნების მსურველთათვის. გამორჩეულია მერისული ფოლკლორიც, რომლის მოსასმენად და შესასწავლადაც სოფელს ტურისტები მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან სტუმრობენ. ამ მხრივ აღსანიშნავია თურმანიძეების საოჯახო-სასტუმრო სახლი სოფელ გარე ტყეში, სადაც სიმღერის ნიჭი და სიმღერები თაობებს გადაეცემა. ტურისტების ყურადღებას იპყრობს მერისის სიმწვანეში ჩაფლული ულამაზესი ჩანჩქერი და საპიკნიკე ტერიტორია, რომლებიც ხეობის მთავარ ღირსშესანიშნაობებს წარმოადგენენ.

მერისის ტურისტული მარშრუტი მარკირებულია. დაბეჭდილია მარშრუტის ტურისტული რუკაც, რაც ტურისტებს ხეობაში მოგზაურობას უმარტივებთ. მთიან აჭარაში მერისის მსგავსად 15-მდე ტურისტული მარშრუტია მარკირებული, რომელთა განვითარებაც ეტაპობრივად მიმდინარეობს.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
კოსტავას ქ. №21

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ქობულია
299-02-10
599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;

პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79
შპს „ახალი საუკუნე“

იბეჭდება გამომცემლობა
„კოლორ პრესში“
რკინიგზის ჩიხი №20

uac(უაკ)070.4(479.22)
ს–323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

**ავტორთა საყურადღებოდ!**

**რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით.**

**ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.**

**„საქართველოს რესპუბლიკა“ შენი გაზეთია, აუცილებლად გამოიწერე, იყიდე, წაიკითხე!**

**უცხოური ვალუტის კურსი:**
აშშ დოლარი - 2.6199; ევრო - 3.0794;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.4454;
100 რუბლი - 3.9796; თურქული ლირა - 0.4280;
აზერბაიჯანული მანათი - 1.5458;
1000 სომხური დრამი - 5.4423.

**ამინდი 28 სექტემბრისთვის**

| | | |
|---|---|---|
| **აღმოსავლეთი საქართველო:** | | |
| ბარი - | ღამე +11, | დღე +27 |
| მთიანი რაიონები - | ღამე +6, | დღე +25 |
| **დასავლეთი საქართველო:** | | |
| ბარი - | ღამე +12, | დღე +28 |
| მთიანი რაიონები - | ღამე +7, | დღე +26 |
| **თბილისი:** | ღამე +15, | დღე +23 |

**დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:**
ტელ: 299-02-10,
599-79-76-79
ელ. ფოსტა: sakresp@mail.ru
და sakresp@top.ge